# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 12 თებერვალი, 2010 წელი.

№27 (6393)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## თბილისში „გამცემებს“ ეძებენ

8



ვიქტორ იანუკოვიჩი:

## ჩვენ გადავაქცევთ უკრაინას ძლიერ სახელმწიფოდ, რომელშიც პატივს მიაგებენ ადამიანის უფლებებს



2

## ასმუსის „შედევრი“




5

ე. წ. პატარა ომის დიდი გამოძახილი

## მეწარმე კურდღელივით დამფრთხალი და შეშინებულია



ჯარიმებით ქვეყანა არ აშენდება

4

## თეთრი, ლურჯი და წითელი ფერები „ვარდებს“ ემუქრება...

3

## პრეზიდენტის ფანტაზიას ბოლო არ უჩანს

4



6

## წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარება

# ვიქტორ იანუკოვიჩი: ჩვენ გადავაქცევთ უკრაინას ძლიერ სახელმწიფოდ, რომელშიც პატივს მიაგებენ ადამიანის უფლებებს

## უკრაინის ახალარჩეული პრეზიდენტის მიმართვა ხალხისადმი 2010 წლის 10 თებერვალს



ძვირფასო თანამემამულენო, მეგობრებო, თანამებრძოლებო!

მადლობას გიძღვნით მხარდაჭერისთვის, რომელიც მე გამიწიეთ არჩევნების დროს! ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ გავამართლო თქვენი ნდობა!

ამ არჩევნებმა მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ უკრაინა დემოკრატიული ქვეყანაა, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ დავძლევთ პრობლემებს და შევასრულებთ რეფორმებს და შევალთ მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების გაერთიანებაში.

უკრაინა დიდი სახელმწიფოა. ჩვენ სხვადასხვანაირები ვართ: ვცხოვრობთ ქალაქებსა და სოფლებში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სხვადასხვაგვარად ვეკიდებით ჩვენს ისტორიას. მე ვაცხადებ, რომ პოლიტიკამ და არჩევნებმა არ უნდა გათიშოს საზოგადოება, პირიქით — გააერთიანოს ხალხი.

მე შევხვდი ასობით ათას ადამიანს ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში. ვესაუბრებოდი მეშახტეებსა და სამხედროებს, მეტალურგებსა და დიასახლისებს, ფერმერებსა და პენსიონერებს, სტუდენტებსა და მუშებს. ჩვენ ყველას ერთი დიდი ოცნება გვაერთიანებს.

ჩვენ ყველას გვინდა ვიცხოვროთ თავისუფალ, სტაბილურ, დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც თითოეული ადამიანის კეთილდღეობა — ეს არის სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი. სადაც ადამიანი დაცულია კანონით — იგი პატივს სცემს ამ კანონს. სადაც თითოეულს შეუძლია მონახოს ღირსეული სამუშაო. სადაც ახალგაზრდობას აქვს ნათელი პერსპექტივები, ვეტერანები კი უზრუნველყოფილი არიან ღირსეული ცხოვრებით.

ჩვენ ყველას გვინდა ვიამაყოთ ჩვენი ქვეყნით! და ეს არის მთავარი, რაც ჩვენს ხალხს აერთიანებს! ამიტომ თითოეული მოქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობა და ქვეყნის გაერთიანება იქნება მთავარი პრიორიტეტები ჩემს საქმიანობაში.

მიმაჩნია, რომ უკრაინას აქვს ეკონომიკური ზრდის კეთილი პერსპექტივები, და მომავალში შეუძლია შევიდეს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ოჯახში. მაგრამ ამისთვის აუცილებელია ძლიერი დაჩქარება ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში.

უკრაინას სჭირდება ინოვაციური ნახტომის აუცილებლობა, რაც ამ დაჩქარების საფუძველი გახდება. ეს არის პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერის სტრატეგია, სადაც ჩვენი ქვეყნის პოზიცია იქნება ძლიერი და გახდება საფუძველი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ეს არის, მაგალითად, ისეთი მიმართულებანი, როგორიცაა: მეტალურგია, ავიამშენებლობა, რაკეტმშენებლობა, ბირთვული ენერგეტიკა, სამხედრო-სამრეწველო და აგრარული კომპლექსები. და აქ უნდა ითქვას უკრაინის პრიორიტეტების შესახებ საერთაშორისო არენაზე.

ჩვენ განვამტკიცებთ უკრაინას, როგორც საერთო და დამოუკიდებელ, ტერიტორიულად მთლიან სახელმწიფოს. უკრაინას ექნება ავტორიტეტი მსოფლიოში და კეთილი, თანაბარუფლებიანი ურთიერთობანი ყველა თავის პარტნიორთან.

ჩვენ პატივს ვცემთ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ჩვენი ყველა პარტნიორის ტერიტორიულ მთლიანობას, და ველოდებით ასეთსავე დამოკიდებულებას ჩვენდამი.

ჩვენ ვართ ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ჩვენ გარს გვარტყია მეგობრული ქვეყნები და ჩვენ ღია ვართ ახალი იდეებისთვის.

ჩვენ ვირჩევთ დემოკრატიულ გზას. ჩვენი ეკონომიკა მჭიდროდ არის ინტეგრირებული რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკასთან, და ვხედებით უფრო მეტად ინტეგრირებული დასავლეთთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ განვავითაროთ ყველა ეს მიმართულება და გამოვიყენოთ ჩვენი უპირატესობანი ეროვნული ინტერესებისთვის.

ჩვენ ყველა ქვეყანასთან კეთილმეგობრული ურთიერთობის პოლიტიკის მომხრეები ვართ.

ჩვენ არა მხოლოდ მოვახდენთ უკრაინის კეთილგანწყობის დეკლარირებას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით.

ჩვენ გამოვიყენებთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას პოლიტიკური ინსტიტუტების რეორგანიზაციაში, ბიზნესში, კანონმდებლობაში, ჰუმანიტარულ საკითხებში.

ჩვენ ვითანამშრომლებთ ევროპის უშიშროების ახალი კოლექტიური სისტემის აგების საკითხებში.

ამ მიმართულებით კონკრეტულ მოქმედებებზე საუბრის დროს მხედველობაში მაქვს განზრახვა — რაც შეიძლება მალე შევხვდე რუსეთის, ევროსაბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს ახალი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინისთვის.

ჩვენ გვჭირდება დასავლეთის და აღმოსავლეთის დახმარება ეკონომიკური სიტუაციის სტაბილურობასა და საფინანსო ვალდებულებათა რესტრუქტურიზაციაში. მე განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ უკრაინაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, რომ შეგვეძლოს მოვიზიდოთ უფრო მეტი ინვესტიციები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან, სხვა ქვეყნებიდან, განვავითაროთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობანი.

ყველაფერს გავაკეთებთ უკრაინის საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობის გადიდებისთვის. ეს არის ჩვენი ქვეყნის მომავალი და იგი დაგვეხმარება შევქმნათ ბევრი სამუშაო ადგილი.

ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ევროსაბჭოსთან შეთანხმების ხელმოწერისთვის თანამეგობრობისა და ეკონომიკური დახმარების პროგრამების ევროპული პოლიტიკის ფარგლებში.

მე ვხედავ უკრაინას ახლო მომავალში, როგორც ეკონომიკურად ძლიერ და განვითარებული დემოკრატიული სისტემების ქვეყანას, რომელსაც შეაქვს შეუცვლელი წვლილი უსაფრთხო, სტაბილური და კეთილგანწყობილი უკრაინის მშენებლობაში.

ჩვენთვის პრიორიტეტული იქნება ურთიერთობა რუსეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან. ჩვენი ქვეყნები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ეკონომიკით, კულტურით, ისტორიით. ჩვენი სამეურნეო კომპლექსები ავსებენ ერთმანეთს. ეს უპირატესობანი აუცილებელია გამოვიყენოთ ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

ჩვენ გავწმენდთ გაუგებრობისა და ძველი პრობლემის ზვავებს, რომლებიც შეიქმნა „ნარინჯისფერი“ ხელისუფლების წლებში.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ აღვადგინოთ ჩვენს მეგობარ ხალხთა შორის ნდობის სათანადო დონე ურთიერთსარგებლობისთვის. ჩვენს ქვეყნებს შორის არ არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრაც შეუძლებელი იქნებოდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მალე დავიწყებთ პროექტების განხორციელებას სხვადასხვა დარგებში — მრეწველობაში, გაზისა და ენერგეტიკის დარგში, ვაჭრობაში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, კულტურაში, ჰუმანიტარულ საკითხებში და ეს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ იქნება.

მაგრამ მხოლოდ საგარეო პოლიტიკა საკმარისი როდია ქვეყნის ასაშენებლად.

იმისთვის, რომ რეალურად ვილაპარაკოთ რეფორმების შესახებ, ჩვენ გვჭირდება უნარიანი ხელისუფლების ორგანიზაცია.

დღეს უკრაინას, როგორც არასოდეს, სჭირდება ძლიერი, ავტორიტეტული, დემოკრატიული ხელისუფლება. აუცილებელია პროფესიული ხელისუფლება, რომელსაც აქვს ზუსტი პროგრამა არსებითი პრობლემების გადასაწყვეტად. აუცილებელი ხელისუფლება, რომელიც ამ პროგრამას შეასრულებს.

ცენტრალური ადგილი, რასაკვირველია, უკავია მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის საკითხს.

ახალმა კაბინეტმა დაუყოვნებლივ უნდა:

— მოახდინოს უკრაინის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის სრული რეორგანიზაცია, განსაზღვროს ძველი ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მიღებული პრობლემების გადაჭრის მასშტაბები;

— ჩამოაყალიბოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ჩვენი პარტნიორებისა და საზოგადოებისთვის; შემოიტანოს განსახილველად უკრაინის 2010 წლის ბიუჯეტი;

— მიიღოს ზომები მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;

— აღადგინოს საშუალო უკრაინელისა და უცხოელი პარტნიორების ნდობა ხელისუფლების ინსტიტუტისადმი;

— მოიზიდოს კრედიტორები ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან და ჩვენი მეზობლებიდან ხელშეკრულების მიღწევის მიზნით და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის აღმოსაფხვრელად.

ეს ყოველივე უნდა გაკეთდეს დამოუკიდებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ქვეყნის ეკონომიკური დაცემა.

ახალმა მინისტრთა კაბინეტმა უნდა დაიწყოს რეალური ბრძოლა კორუფციასთან — უამისოდ უკრაინას არ ექნება ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის.

ჩვენ დაგვჭირდება მოვაწყოთ ფართო დისკუსია საზოგადოებაში და დავიწყოთ სახელმწიფო სისტემის ძირითადი ელემენტების რეფორმის პროცესი.

ჩვენ გვჭირდება პროგრამის — „უკრაინა ხალხისთვის“ შესრულების უზრუნველყოფა, რითაც მე მივდიოდი არჩევნებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროგრამას აქვს დიდი პოტენციალი და იგი აუცილებლად მოიგებს, თუ შეივსება ჩვენი ეკონომისტების, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების იდეებითა და დასკვნებით.

ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბების გზაზე მზად ვარ ვიმუშაო მათთან, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის აღდგენით.

მაგრამ იმისთვის, რომ მოვახდინოთ მთავრობის რეორგანიზაცია, საჭიროა შევქმნათ ახალი მმართველი კოალიცია უმაღლეს რადაში.

არსებული კონსტიტუციის თანახმად, ეს არის რთული მოლაპარაკების პროცესი, დრო კი ამისთვის ცოტა გვაქვს. ხალხი უკვე დაიღალა ლოდინით.

ამიტომ მე ოფიციალურად მივმართავ პრემიერ-მინისტრს — მოგიწოდებთ გადადგეთ და გადახვიდეთ ოპოზიციაში, აგრეთვე კოალიციის წევრებს — გამოაცხადეთ კოალიციის საქმიანობის შეჩერების შესახებ იმისთვის, რომ მე შემეძლოს დავიწყო მოლაპარაკება სხვადასხვა ფრაქციებთან ახალი მთავრობის ფორმირების საკითხში.

მე მინდოდა შემეხსენებინა ტიმოშენკოსთვის, რომ დემოკრატიის საფუძველი — ეს არის ხალხის ნება. დემოკრატიული ლიდერები ყოველთვის მხედველობაში ღებულობენ ხალხის ნებაყოფლობის შედეგებს.

ქვეყანას აღარ სჭირდება კიდევ ერთი პოლიტიკური კრიზისი. ხალხმა ზუსტად გამოთქვა თავისი სურვილი ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით. და პრემიერ-მინისტრმა უნდა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და წავიდეს ოპოზიციაში.

— ეს არის ხალხის ნების რეალიზაციის ერთიანი ღირსეული სცენარი და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ უკრაინა დემოკრატიული ქვეყანაა — არა სიტყვებით, არამედ საქმით.

მე არ ვიჩქარებ კარდინალურ პოლიტიკურ რეფორმებთან დაკავშირებით. და როდესაც დავრწმუნდები, რომ არსებულ პოლიტიკურ სისტემაში უკვე აღარ არის პოტენციალი, რომ იგი ბორკავს რეფორმებს — მხოლოდ მაშინ შევთავაზებ საზოგადოებას ცვლილებებს კონსტიტუციაში.

როგორც ახალ პრეზიდენტს, მიმაჩნია, რომ უკრაინის აღორძინების ამოცანა სავსებით შეიძლება შესრულდეს.

დარწმუნებული ვარ, რომ გვაქვს ეკონომიკური ზრდის კეთილი პერსპექტივები და უკრაინას შეუძლია გახდეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ბედკეთილი ქვეყანა.

მე გავაერთიანებ უკრაინას, წესრიგში მოვიყვან ხელისუფლებას. თითოეულ უკრაინელს მივანიჭებ შესაძლებლობას, იცხოვროს წარმატებით და იმუშაოს სტაბილურ ქვეყანაში, რომელსაც პატივს სცემენ ჩვენი მეზობლები და მთელი მსოფლიო!

ეს არის ჩემი, როგორც უკრაინის პრეზიდენტის, მთავარი ამოცანა.

მე მადლობას ვუცხადებ უკრაინის ხალხს იმისთვის, რომ მანდო თავისი იმედები მომავლისთვის. პირობას გაძლევთ, რომ გავამართლებ ხალხის ნდობასა და მოლოდინს.

ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ოპტიმიზმსა და აყვავებას ვუსურვებ უკრაინის ყველა მოქალაქეს!

დაე, გვფარავდეს მაღალი ღმერთი!

## „დაბალანსებული“ ურთიერთობა

# თეთრი, ლურჯი და წითელი ფერები „ვარდებს“ ემუქრება...

**ანალიტიკოსების პროგნოზი ტიმოშენკოს შეურიგებლობაზე გამართლდა. ნარინჯისფერი რევოლუციის ლიდერი იანუკოვიჩის გამარჯვებას არ აღიარებს და სასამართლო პროცესს გამართავს. ეს დროებით იანუკოვიჩის ინაუგურაციას, ბუნებრივია, შეაფერხებს. ასე რომ, უკრაინაში რამდენიმეკვირიანი დაძაბულობა გარდაუვალია. იანუკოვიჩის დამარცხების დამტკიცება არარეალურია, იგი ტიმოშენკოს 800 ათასი ხმით უსწრებს — განაცხადა კიეველმა კონფლიქტოლოგმა მიხაილ პოგრებინსკიმ. სხვა უკრაინელი პოლიტოლოგების აზრითაც, ხმების გადათვლა არანაირ შედეგს არ გამოიღებს. ხოლო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი გრიზლოვი კი ფიქრობს, რომ იანუკოვიჩისთვის გამარჯვების მილოცვა ნადრევია და ინაუგურაციამდე უნდა გადაიდოს.**

გავლენიანი გამოცემის „ვაშინგტონ პოსტი“-ს აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინის დემოკრატიზაციისთვის თანხები ორჯერ — 2005 წლიდან 2008 წლამდე 40 მილიონიდან 20 მილიონ დოლარამდე შეამცირა და შედეგიც სახეზეა. შემცირების მიზეზად გაზეთი იმას მიიჩნევს, რომ დასავლეთი უკრაინის ხელისუფლებაში არსებული მუდმივი დაძაბულობით დაიღალა. მართალია, ბუშის ადმინისტრაციამ ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას დახმარება მოაკლო და რესურსები ერაყსა და ავღანეთში გადაამისამართა, მაგრამ უკრაინაში ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა, რადგან სწორედ ამერიკულმა ფულმა უზრუნველყო „ნარინჯისფერი რევოლუციის“ განხორციელება.

ახლა, როდესაც ამერიკის სათავეში რუსეთის მიმართ ბრძოლის ჟინით ნაკლებად შეპყრობილი პრეზიდენტია, ამერიკის ინტერესი იმის მიმართ, თუ რა ხდება მოსკოვის ზღურბლზე, ნაკლებად აქტიურია. ამიტომ ასეთ ვითარებაში რუსეთის გააქტიურება გამორიცხული არაა. მით უფრო, რომ პრეზიდენტ ობამას მმართველობისას, ამერიკა-საქართველოს კავშირების შესუსტებაზეც ლაპარაკობენ.

გამორიცხული არაა, უკრაინის ხელისუფლების სათავეში პრორუსული „რეგიონების“ პარტიის ლიდერის მოსვლამ გარკვეული გავლენა მოახდინოს საქართველოზეც. მართალია, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ოფიციალური თბილისი უკრაინის ნებისმიერ მთავრობასთან გააგრძელებს ურთიერთობას, თბილისი და უკრაინა კი სტრატეგიულ პარტნიორებად დარჩებიან, მაგრამ ქვეყნის სათავეში იანუკოვიჩის მოსვლა საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე მაინც მოახდენს გავლენას, და ეს ურთიერთობები უწინდელივით თბილი აღარ იქნება.

ექსპერტ ნიკა ჩიტაძის აზრით, უკრაინა საქართველოს გარკვეული ტიპის სამხედრო შეიარაღებას აწვდიდა. ქვეყნის ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩის მოსვლის შემთხვევაში კი, სავარაუდოა, რომ ეს აღარ ან ვეღარ მოხდება, ანუ სამხედრო თანამშრომლობა შეწყდება. „ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებისა და უკრაინულ ბაზარზე ქართული პროდუქციის აკრძალვის საფრთხე მაინც არ არსებობს. ვფიქრობ, ეკონომიკური კავშირები შენარჩუნდება,“ — ფიქრობს ექსპერტი.



პოლიტოლოგების ერთი ნაწილის აზრით, იანუკოვიჩი წმინდა პრორუსული ლიდერი არ იქნება, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის, ასევე, ქვეყნის ტერიტორიული სიდიდის გათვალისწინებით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებასაც შეეცდება, მით უმეტეს, რომ მას ოპოზიცია ეყოლება და იძულებული იქნება გაითვალისწინოს მისი და უკრაინული საზოგადოების ინტერესები.

მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ თუკი მოვახერხებთ და ჩვენი უახლოესი არჩევნებით ყველას დავანახებთ, რომ ჩვენც შეგვიძლია უკრაინის მსგავსად დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად არჩევნების ჩატარება, მაშინ შეიძლება ორივე ქვეყანას ერთდროულად მეტი ყურადღება მოგვაქციონ. ანუ უკრაინის სიბრტყეში მოხვედრა მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის ხარისხითაა შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში, ჩვენ და უკრაინა გათიშული დავრჩებით.

თუმცა, ვარაუდობენ, რომ უკრაინის არჩევნების ფონზე, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში დასავლეთმა პოზიციები უფრო გააძლიეროს, ანუ უკრაინასთან ურთიერთობების შესუსტების კომპენსირებას დასავლეთი სამხრეთ კავკასიის ხარჯზე შეეცდება და უარს არ იტყვის შავი ზღვის რეგიონზე, რომელიც მთლიანად დასავლეთის სტაბილურობისთვის, მისი მომავალი განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ბუნებრივია, ნატოს გაფართოების საკითხიც არსებით დატვირთვას იძენს, თუკი უკრაინა ნატოში გაწევრებას დროებით გადადებს, ჩვენთვის შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. **„არა მგონია, ალიანსმა მის რიგებში მხოლოდ საქართველოს მიღება ისურვოს“,** — აღნიშნავს ირაკლი სესიაშვილი და იქვე დასძენს, ნატოსკენ სწრაფვის პროცესის დროებით შეჩერებას თავად პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იანუკოვიჩი არ გამორიცხავსო.

ასე რომ ექსპერტები საბედისწერო შედეგს უკრაინა-საქართველოს ურთიერთობებში უახლოეს ხანში არ პროგნოზირებენ, თუმცაღა არ შეიძლება არ დაეთანხმო ბატონ სოსო ცისკარიშვილს, ვისი აზრითაც უწინ ქართული ვექტორი და ინტერესები რუსეთის ვექტორსა და ინტერესებს სჭარბობდა. იანუკოვიჩის მიერ უკრაინა-საქართველოს მომავალ ურთიერთობებში სიტყვა „დაბალანსებულის“ გამოყენება სწორედ იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ, ქართული ვექტორი რუსულს ველარ გადაწონისო. ასე რომ რუსული დროშის თეთრმა, ლურჯმა და წითელმა ფერებმა ერთობ გაახუნეს ნარინჯისფერი უკრაინაში, შეძლებს თუ არა, ეს ფერები ვარდების ჭკნობას საქართველოში, ამას უახლოესი მომავალი დაგვანახებს...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### კოკოითი მამა-მარჩენალს ეწვია

**ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი მოსკოვში იმყოფება. ოსური მედია იუწყება, რომ მისი ვიზიტი სამუშაო ხასიათისაა. მათივე ინფორმაციით, მოსკოვში მყოფმა კოკოითმა რუსეთში ე.წ. საელჩო მოინახულა და თანამშრომლებთან თათბირი ჩაატარა.**

**— აღნიშნული საელჩოს მუშაობის ძირითადი ამოცანა რუსეთის ფედერაციასთან თანამშრობლობის გაღრმავებაა. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი საელჩო სამხრეთ ოსეთისათვის დიპლომატიურ კადრებს მოამზადებს. ჩვენ რა თქმა უნდა, დაგვჭირდება დიპლომატები იმისათვის, რომ ისინი შემდეგ უკვე სხვა ქვეყნებში ჩვენს წარმომადგენლებლად გავგზავნოთ, — განაცხადა ედუარდ კოკოითმა.**

**მისივე თქმით, რუსეთის ფედერაციასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის უკვე ხელმოწერილია 25-ზე მეტი უწყებათაშორისი შეთანხმება და უკვე მზადდება დაახლოებით 40-მდე ხელშეკრულება ხელმოსაწერად.**

### იწყება „დეგრუზინიზაციის“ პროცესი

**ახალგორს, თამარაშენს, ქურთას, კეხვს, აჩაბეთს და კიდევ 200-ზე მეტ ქართულ სოფელს ოსი სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები სახელებს შეუცვლიან. გადაწყვეტილება ამის შესახებ ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა მიიღო. საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგებლებმა დოკუმენტი შეიმუშავეს, რომელიც ქართული დასახელებების გადარქმევას ითვალიწინებს.**

**ამას გარდა, სეპარატისტები ქართული კვალის წასაშლელად ქართული გვარების შეცვლასაც აპირებენ. ე.წ. „დეგრუზინიზაციის“ შესახებ კანონპროექტის თანახმად შვილ-სა და ძე-ზე დამთავრებულ გვარებს სხვა დაბოლოებები ექნებათ.**

**შეგახსნებთ, რომ დაახლოებით ამგვარი პროცესი აფხაზმა სეპარატისტებმა ოკუპირებულ აფხაზეთში უკვე დიდი ხანია განახორციელეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ახალი კონკურსი

# ვინ მიიღებს მორიგ დავით აღმაშენებლის ისტორიულ-ლიტერატურულ პრემიას?

**სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ალექსანდრე ებრალიძის მიერ დაწესებულ დავით აღმაშენებლის ისტორიულ-ლიტერატურულ პრემიაზე მორიგი, 2010-2011 წლების კონკურსი გამოცხადდა.**

ამის გამო სასტუმრო „ამბასადორში“ პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალმა. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის 2009-2010 წლის კონკურსის ლაურეატები, საკონკურსო კომისიის წევრები და რეცენზენტები.

დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის პირველ კონკურსში გამარჯვებულები 29 იანვარს გამოვლინდნენ. საპრემიო თანხიდან 20-20 ათასი ლარი ერგო სამ ქართველ მწერალს — ნოდარ წულეისკირს, რეზო ამაშუკელს და ელიზბარ ჯაველიძეს. ლიტერატურულ კონკურსს კიდევ ჰყავდა ათი ნომინანტი, აქედან ექვსმა ნომინანტმა 5-5 ათასი ლარი მიიღო, ოთხ ნომინანტს კი სპეციალური პრიზები გადაეცა.

კონკურსის პირობები იგივეა, კერძოდ: ნაწარმოებთა წარდგენის უფლება აქვთ კერძო პირებს, შემოქმედებით კავშირებს, გამომცემლობებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ლიტერატურულ, ჟურნალისტურ და სარედაქციო საქმიანობასთან.

— კონკურსზე შეიძლება მოცულობით არანაკლებ 5 (ხუთი) პირობითი ნაბეჭდი გვერდის ნაწარმოების წარდგენა. ნაწარმოები უნდა ეძღვნებოდეს ისტორიულ მოღვაწეს, ან უნდა ასახავდეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის მებრძოლ სულისკვეთებას. განსახილველად დაიშვება ის ნაწარმოებები, რომლებიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, გამოცემულია პრემიის გადაცემამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე და მოიცავს საქართველოს ისტორიის პერიოდს უძველესი დროიდან გასული საუკუნის ბოლომდე,- განაცხადა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორმა ნანა ჯაფარიძემ. ამასთან, კონკურსს ახალი ნომინაციები დაემატა — თარგმანის, ლიტერატურის ისტორიის.



უცვლელია საპრემიო ფონდი — 95 000 ლარი. ლაურეატებსა და ნომინანტებზე პრემიის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საკონკურსო კომისია ნაწარმოებთა მიღების შეწყვეტის შემდეგ. პრემიის გადაცემის ცერემონია უკავშირდება წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება 8 თებერვალს. პრემიის გადაცემის ცერემონიის დროსა და ადგილს განსაზღვრავს კომისია, პრემიის დამფუძნებელთან შეთანხმებით.

პროექტს აფინანსებს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის დამფუძნებელი, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ებრალიძე. პროექტს ახორციელებს საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალი.

კონკურსზე წარსადგენად გამოქვეყნებული ნაწარმოები 2010 წლის 8 დეკემბრამდე უნდა გაიგზავნოს (ან ჩაბარდეს) საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს ფილიალის ოფისში მისამართზე — თბილისი 0177, ალ. ყაზბეგის გამზირი 29ა, ბინა 98, წარწერით — „დავით აღმაშენებლის პრემია“, ორ ეგზემპლარად, ასევე განაცხადი და ავტორის (ავტორთა) ანკეტა.

კონკურსის მიმდინარეობა რეგულარულად გაშუქდება საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის ვებგვერდზე www.-congress-georgia.org. დამატებითი ინფორმაციისა და კონკურსის დებულების მისაღებად გთხოვთ, მიმართოთ საკონკურსო კომისიის აღმასრულებელ მდივანს ნანა ჯაფარიძე-ჭყონიძეს (ტელ: 995 32 252821 ; 899 176039).

**ნატა ნიბლაძე.**

№ 27. პარასკევი, 12 თებერვალი, 2010 წელი.

◉ ვაი მთავრობისგან

*არ გამთქვათ, გამაფრთხილა, უფრო სწორად, პირობა ჩამომართვა ერთმა ცნობილმა მეწარმემ, თორემ საგადასახადოელები დამეცემიან, რაიმე დარღვევას გამომიძებნიან და საწარმო თუ არ დამილუქეს, კაი ბლომად ჯარიმას მაინც ამკიდებენო. რას იზამ, ისეთი ცხოვრება მოვიდა, ყველას ვიღაცისა ეშინია, ამერიკელებს, მაგალითად, ბელ ლადენისა, პალესტინელებს — ისრაელისა, ქართველებს — რუსეთისა, მაგრამ უფრო მეტად — საკუთარი მთავრობისა. ჰოდა რა გასაკვირია თუ ამ მთავრობის ყურმოჭრილი ყმები — საგადასახადოს მუშაკები თავის მხრივ კიდევ მეწარმეებს დაუცაცხან-დააშინებენ.*

*მკითხველს თავი რომ არ შევაწყინო, ამ საჩოთირო საკითხთან დაკავშირებით განმარტება-მობოდიშებას ამით დავამთავრებ და შევეცდები იმ საუბრის შინაარსი გადმოგცეთ, რომელიც ჩემსა და მეწარმეს — დავით გოგოლაშვილს შორის (თხოვნას ვუსრულებ და მოგონილი გვარით წარმოგიდგენთ) საგადასახადო კოდექსში ზედნადების თაობაზე შეტანილი ცვლილებების გამო გაიმართა.*

# ჯარიმებით ქვეყანა არ აშენდება

## მეწარმე კურდღელივით დამფრთხალი და შეშინებულია



**— ბატონო დავით, ეგრეთ წოდებულ „ზედნადების საქმეში“ თქვენც გადიხართ? ამ ორიოდე დღის წინათ ფინანსთა მინისტრმა ბაინდურაშვილმა განაცხადა, რომ ცვლილებები კოდექსში არ ეხებათ ბაზრებში საცალო მოვაჭრეებს, მცირე მაღაზიებში მომუშავეებს და ქუჩაში მოვაჭრეებს.**

— რა თქმა უნდა, გავდივართ, ჩვენ ხომ მოვაჭრეები კი არა, მეპურეები ვართ. თავიდან მაგ ბაზრებისა და ქუჩის მოვაჭრეებსაც ავალდებულებდნენ ზედნადებით მუშაობას, მაგრამ მთავრობას მოახლოებული არჩევნების წინ საპროტესტო აქციებისა შეეშინდა და უკან დაიხია. აგერ ამის თაობაზე სპეციალური წერილიც მივიღეთ (მიწვდის).

დავინტერესდი და წერილი ჩავიკითხე. **„ძვირფასო გადამხდელო,** — ნათქვამია მასში, — **2010 წლის 1 იანვრიდან გადასახადის გადამხდელები ვალდებული არიან თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან გადამხდელის მოწმობის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაჯარიმდება 100 ლარით. საგადასახადო სამართალდარღვევად ჩაითვლება მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება საქონლის საბაზრო ღირებულებით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა, ასევე ქმედებათა განმეორებით ჩადენისათვის, კერძოდ, პირველი შემთხვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში მისი ხელმეორედ ჩადენისას, პირი დაჯარიმდება საქონლის საბაზრო ღირებულებით, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა, ხოლო ამ უკანასკნელიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ ჩადენის შემთხვევაში — 10000 ლარით“.**

**— რა ამბავია ამხელა ჯარიმები! — ვერ ვმალავ უკმაყოფილებას, — თანაც რომ გეფერებიან? „ძვირფასო გადამხდელოო!“ — ასე მოგმართავენ.**

— კი, ზრდილობის ნორმებს იცავენ, — მეთანხმება მეწარმე, — ჯარიმისას — არა. რაც შეიძლება მეტი თანხები უნდა წაგგვლიჯონ, რომ არარეალური საბიუჯეტო დავალება როგორმე შეასრულონ. რა მიკვირს, იცით? პრეზიდენტი საპაკაშვილი მეწარმეთა შეცდომებსა თუ გადაცდომებზე ამხელა ჯარიმებს რომ აწესებს, თავად რომ ქვეყნისათვის საბედისწერო შეცდომებს უშვებს, რატომ ერთხელ მაინც საკუთარ თავს არ დააჯარიმებს?

**— აბა რას ამბობთ, ბატონო დავით, — მინდა დავიცვა ჩემი პრეზიდენტი, — გაგიგიათ სადმე, რომელიმე ქვეყანაში, პრეზიდენტი საკუთარ თავს აჯარიმებდეს, ისეთი დემოკრატიულიც კი, როგორიც სააკაშვილია?**

— მაშინ გაგვანებოს თავი, გადადგეს მაინც ეგ ოჯახქორი! — შეღავათი გაუწია მეწარმემ.

საერთოდაც პრეზიდენტზე აუგი აღარ დასცდენია. ისე კი შევატყვე, უნდოდა ეთქვა, მიშა საზღვარგარეთ უცხოელებს აბოლებს — საქართველოში ბიზნესი აყვავებული მაქვსო, აქ კიდე ჩვენო, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. ერთი კი შემომჩივლა, შეშინებულმა ჩინოვნიკებმა ბაზრის მოვაჭრეები გაანთავისუფლეს ზედნადების ხლაფორთისგან, მაგრამ სამაგიეროდ მყიდველებს აშანტაჟებენო.

**— რას გულისხმობთ?** — დავინტერესდი.

— ერთმა ჩემმა კოლეგამ, რომელსაც მცირე პურის საცხობი აქვს, ბაზარში 2 ტომარა ფქვილი იყიდა. საგადასახადოს მუშაკებმა, რომლებიც ეტყობა ჩასაფრებული იყვნენ, გამყიდველს არაფერი უთხრეს (ბაზარში აყალ-მაყალს მოერიდნენ), მაგრამ მყიდველს გამოეკიდნენ, გააჩერეს და ზედნადები მოსთხოვეს. კიდევ კარგი, ზედნადები აღმოაჩნდა, მაგრამ ახლა შარი იმაზე მოსდეს — ქვითარი რატომ არა გაქვსო და ჯარიმა მაინც აჰკიდეს.

მეწარმისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ ჩემთვის გავიფიქრე — ქვეყანაში „საჯარიმო ინდუსტრია“ თუ ასეთი მასშტაბებით განვითარდა, არ გაგიკვირდეთ, ერთ მშვენიერ დღეს საგადასახადოს „ფხიზელი მუშაკები“ ბინაში შემოგეჭრნენ, მაცივარი გახსნან და მაღაზიაში ნაყიდი საკვების ქვითრები მოითხოვონ. მე თქვენ გეტყვით, ჯარიმისთვის საკმაო მიზეზს ვერ იპოვიან, მყიდველთა დიდი უმეტესობა გამყიდველს ქვითარს საერთოდ არ ართმევს და მას ბინაში დოკუმენტად რომელი ჭკუათმყოფელი შეინახავს? აფსუს, თორემ ასეთი ჯარიმების გზით ბიუჯეტი ცოტა შემოსავალს კი არ მიიღებდა(!).

ამას რომ ვანგარიშობდი, მორიგი კითხვა გამიჩნდა:

**— ბატონო დავით, როცა ხელისუფლება საგადასახადო კოდექსში მორიგ ცვლილებებს ამზადებს, მეწარმეებს აზრს არ გეკითხებიან?**

— ადრე აკეთებდნენ ამას, შეგვკრებავდნენ და ფორმალურად მაინც ისმენდნენ მეწარმეთა და ბიზნესმენთა რჩევას. ახლა ამითაც აღარ იწუხებენ თავს, ცვლილებები რომ შევა კოდექსში მერელა ვიგებთ, უმეტესად დაჯარიმების შემდეგ.

**— აბა რისთვის არსებობს ეს რაღაც ბიზნესფედერაცია ქვეყანაში? მისი წევრი ხომ ხართ?**

— არა და არც მინდა ვიყო, რადგან მასაც არაფერს ეკითხებიან. თანაც საწევრო გადასახადი რამდენია, არ იკითხავთ? — 2000 ლარი. ამდენის გადახდა მხოლოდ მას შეუძლია („კოკა-კოლა“, „ვისოლი“, „ლუკოილი“ და სხვები), ვინც დღეში მილიონს ატრიალებს.

**— გამოდის, რომ სხვებთან ერთად პურის საცხობებსაც ძალიან გიჭირთ მუშაობა?**

— გვიჭირს რომელია, განსაკუთრებით ახლა, როცა ბევრი სავაჭრო ობიექტი გამოკეტილია და აღარ ვუწყით, გამომცხვარი პური სად წავიღოთ. ერთადერთი, ვინც ჩვენს სფეროში გარანტირებულად გრძნობს თავს, ის საცხობებია, რომლებიც პურით ჯარსა და საპატიმრო უწყებას ამარაგებენ. იქ კი ცხვირს არავინ შეგაყოფინებს, რადგან ტენდერში გამარჯვებულნი ყოველვთის ხელისუფლების „ნებიერები“ გამოდიან.

ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ბოლო დროს ქონების გადასახადი 3-ჯერ გაგვიზარდეს. ჩვენ, მაგალითად, ადრე თუ წელიწადში 3 ათას ლარს ვიხდიდით, ახლა ეს თანხა 10 ათასამდე ადის. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლება წარმოების საშუალებების განახლებასა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე ზრუნავდეს, არსებულის შენახვის საშუალებასაც გვისპობს.

იჰ, ასე სჩვევიათ მეწარმეებს — თავიანთი ყველა წარუმატებლობის მთავრობისთვის გადაბრალება. არადა, ფაქტია, საქართველოს ხელისუფლება „გონივრულად“ იქცევა. გაუგებარია, რატომ უნდა აიტკიოს მთავრობამ თავი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და ეკონომიკის აყვავება „საჯარიმო ინდუსტრიის“ გაფართოება-განვითარებითაც თავისუფლად შეიძლება. ქართველ ხელისუფალთა ამ „გაუგონარ მიღწევას“ დღეს მთელი მსოფლიო აღიარებს და რა მნიშვნელობა აქვს, თუ ცალკეული მეწარმე თავისთვის რაღაცას წაიბუზღუნებს?!

**ოთარ ხუციშვილი**

◉ აკადემია

# ღირსეულთ – ღირსეული პატივგება

**ლამაზი ტრადიცია დამკვიდრდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში — სახელოვან წევრთა საიუბილეო თარიღების საჯარო აღნიშვნა. აქვე აღვნიშნავთ: ეს საგულისყურო ინიციატივა სმეა-ს პრეზიდენტს, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ეკუთვნის.**



ბოლო შეკრება გამოჩენილი მკვლევარ-გეოლოგისა და სახელმწიფო-საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა (ამ თარიღთან დაკავშირებით აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძისა და აკადემიური დოქტორის გურამ ნადარეიშვილის ვრცელი წერილი ჩვენი გაზეთის 10 თებერვლის ნომერში დაისტამბა).

აკადემიის სხდომათა დარბაზში მოვიდნენ გიორგი ძოწენიძის ახლობლები, მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები, ამ უკვდავი სახელის პატივისმცემლები. შეკრება რომ გახსნა, ბატონმა თამაზმა ხაზი გაუსვა ასეთი მიძღვნითი საგანგებო სესიების მნიშვნელობას. ჩვენ ვნახეთ განსვენებულის 80 წლისთავისათვის (ბატონი გიორგი უდროოდ აღესრულა 66 წლისა) გადაღებული 20-წუთიანი დოკუმენტური ფილმი.

იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მირიან თოფჩიშვილმა. რამდენიმე საგულისხმო დეტალი მოხსენებიდან: გიორგი ძოწენიძის სახელს უკავშირდება არაერთი გეოლოგიური აღმოჩენა და ახალი მიმართულებების გაკვალვა გეოლოგიურ მეცნიერებაში.

მოხსენებას მოჰყვა ბატონი გიორგის მოწაფეთა ერთობ თბილი მოგონებები, რომლებმაც კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადეს დიდი მასწავლებლის სახე. რად ღირს გამოსვლებში გახმიანებული ორი ამბავი: 15 თუ 16 წლის სტუდენტმა(!) გიორგი ძოწენიძემ ბრწყინვალედ ჩააბარა ფიზიოლოგიაში გამოცდა ივანე ბერიტაშვილს. მოგვიანებით აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი ეუბნებოდა თურმე აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძეს: შენ დამასწარი გიორგის გადაბირება გეოლოგიაში და ამით მაჯობეო... კანადაში, მონრეალში შემდგარ გეოლოგთა 24-ე მსოფლიო კონგრესზე მასპინძელს, კონგრესის თავმჯდომარეს, პროფესორ რობერტ ფოლონსბის საგანგებოდ განუცხადებია: ჩვენი ფორუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **საქართველოს თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი გეოლოგის გიორგი ძოწენიძის მონაწილეობით...**

...წინ ახალი „სააკადემიო“ გახსენებებია ღირსეულ და სასიქადულო მეცნიერთა...

**თამაზ ებანოიძე**

◉ ინფორმაცია

# პრეზიდენტის ფანტაზიას ბოლო არ უჩანს

რესპუბლიკური პარტია მცხეთაში პლაჟების მოწყობის თაობაზე პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას „კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიისადმი ხელისუფლების მხრიდან მორიგი ცინიკური გამოვლინების თვალსაჩინო მაგალითად“ აფასებს.

— საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა უძველეს ქალაქ მცხეთაში, მდინარეების — მტკვრისა და არაგვის შესართავში გასართობი ცენტრის (აუზი, პლაჟი...) მოწყობის შესახებ ქვეყნის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიისადმი ხელისუფლების მხრიდან მორიგი ცინიკური გამოვლინების თვალსაჩინო მაგალითია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ მტკვრისა და არაგვის შესართავია ის ადგილი, სადაც ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს მიერ მოხდა ქართველთა მასიური ნათლობა IV საუკუნის 20-იან წლებში. ამდენად, ამ ადგილს საქართველოს ისტორიაში ენიჭება სრულიად უნიკალური მნიშვნელობა და ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ საქართველოში არსებობს გამორჩეული ღირებულებების მქონე სიწმინდეები და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი გადაქცევა გართობის ობიექტებად, — ნათქვამია რესპუბლიკური პარტიის განცხადებაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ გამოუხატავს საკუთარი პოზიცია იუნესკოს გადაწყვეტილების შესახებ, როდესაც 2009 წლის ივნისში მცხეთის ისტორიული ძეგლები შეტანილი იქნა ამ ორგანიზაციის საგანგებო ნუსხაში „კულტურული მემკვიდრეობა საფრთხეშია“.

— ეს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია პირდაპირ მოუწოდებს ხელისუფლებას, სწორად განკარგოს ჯვრის ტაძრის სიახლოვეს არსებული მიწის ნაკვეთები და მათი გამოყენება მოხდეს ისე, რომ მსოფლიო არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე ძეგლს ზიანი არ მიადგეს. პრობლემის მოგვარების საპირისპიროდ კი პრეზიდენტის მორიგი ინიციატივა აკნინებს მცხეთის, როგორც საქართველოს სულიერი დედაქალაქის ზოგადნაციონალურ მნიშვნელობას. საქართველოს რესპუბლიკური პარტია კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს ხელისუფლების გაუაზრებელი და გაუთვითცნობიერებელი პოლიტიკა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ქვეყნის სიწმინდეების მიმართ და მოუწოდებს საზოგადოებას, წინ აღუდგეს ეროვნული იდენტობის შეურაცხყოფის მსგავსი გამოვლინებებს, — აღნიშნულია განცხადებაში.

ჯი-ეიჩ-ენი


საქართველოს რესპუბლიკა

გლობუსი

# ასმუსის „შედევრი“

## ე. წ. პატარა ომის დიდი გამოძახილი

**იანვრის ბოლოს ინგლისური ჟურნალის „ეკონომისტის“ გაცნობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო სათაურმა „საქართველო-რუსეთი, პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“. სარედაქციო სტატიაში მოკლედ იყო განხილული ამერიკელი ავტორის, როლანდ ასმუსის წიგნი. ჟურნალის მიხედვით 2008 წლის ომი მოულოდნელი იყო მსოფლიოსთვის და ის საქართველომ დაიწყო, თუმცა ასმუსის მიხედვით ორივე მოსაზრება მცდარია. ჟურნალი არ ეთანხმება ავტორს და თვლის, რომ მისი დასკვნები ძირფესვიანად განსხვავდება ტალიავინის კომისიის დასკვნებისგან და მთლიანად ემთხვევა ამერიკელი ნეოკონსერვატორების პოზიციას. „ეკონომისტი“, ავტორისგან სრული განსხვავებით არ იზიარებს სააკაშვილის უდანაშაულო კრავის პორტრეტს, რაც ავტორს უხვად აქვს გამოტანილი 250-გვერდიანი წიგნის ფურცლებზე.** წიგნში მრავლადაა საქართველოს პრეზიდენტის მცდარი პოლიტიკური ნაბიჯების გამამართლებელი „ფაქტები“, რაც თავისთავად მეტყველებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული მატერიალური სტიმულირების უდიდეს ძალასა და გავლენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეჭვობ თავი შეეწუხებინა სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ ჩინოსანს, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ნატოში შეყვანის ორგანიზატორს და საქმეებით დატვირთულ ასმუსს. ცხინვალის ომზე არაერთი წიგნი დაიბეჭდა, როგორც ლიბერალი რუსი, ისე უცხოელი ექსპერტების მიერ. მათი „შედევრების“ პრეზენტაციის სიუჟეტებით არაერთხელ შეწუხდა ქართველი ტელემაყურებელიც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო პუტინის ყოფილი მრჩევლის, ამჟამად სააკაშვილთან ჩახუტებული ილარიონოვის წიგნის პრეზენტაცია აშშ-ი. **საქართველოს ხელისუფლება დროს და სახსრებს არ იშურებს „სიმართლის დასაცავად“, შავის გასათეთრებლად — ხან ჰოლივუდიო, ხან ჟურნალ-გაზეთების სტატიებიო, ხან მსოფლიოს ცნობილი ტელეკომპანიების სპეციალური გადაცემებიო, ხანაც წიგნები. შორს მჭვრეტელია პრეზიდენტი, განსაკუთრებით წიგნის გამოცემის საკითხში. სტატიები, სატელევიზიო სიუჟეტები, თუნდაც გარსიას კინოფილმი ხანმოკლე სიცოცხლით ცხოვრობს, წიგნი სხვაა. გადის დრო, აღარც სააკაშვილი იქნება, აღარც მისი თანამებრძოლი ნაცები, მაგრამ წიგნი დარჩება, ზოგიერთი ისტორიკოს-მკვლევარის განსჯის საგანი. მომავალი მკვლევარი ასმუსის წიგნის სულისკვეთებას ჭეშმარიტებასავით მიაწვდის იმჟამინდელ საზოგადოებას.**

**წიგნის გამოცემა, ისევე, როგორც ფილმის გადაღება, სტატიების წერა, ფული ღირს, ისევე, როგორც 2.600 კუნთმაგარი და ჭკუასუსტი დამკვირვებლის უკრაინაში გაგზავნა, მასაჟისტის მოწვევა, საზღვარგარეთ ხეტიალი, უცხოელი მომღერლების ჩამოყვანა და სხვა. უნებლიედ იბადება კითხვა — საიდან? სეროჟასეული პასუხი — „ტუმბოჩკიდან“, არ გამოდგება, ვინაიდან ეს „ტუმბოჩკა“ საქართველოს გაღლეტილი ჯიბეა, მოსახლეობისთვის შეწერილი ფული. ეს სწორედ ისაა, ილაჯგაწყვეტილ ხალხს რომ აიძულებენ ბენზინისა და კვების პროდუქტებისათვის მომატებული თანხების გადახდას.**

გასულ კვირას ტელეკომპანია „იმედმა“ კიდევ ერთი ნოვატორობით გაგვახარა — ასმუსის „შედევრზე“ აგებული პოლიტიკური ტელესპექტაკლით. შემდეგ თვით ასმუსიც ვიხილეთ. ავტორი თვლის, რომ ომის მიზეზი მხოლოდ ერთი იყო — რუსეთის სურვილი დაებლოკა ამერიკაში განათლებამიღებული, ამერიკის მოტრფიალე სააკაშვილის დასავლური ვექტორი. სააკაშვილმა თავი გამოიჩინა იმით, რომ ნახევრად შემდგარი საქართველო რეფორმატორულ ვეფხვად (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური ვეფხვების ანალოგიითძ გადააქცია, წერს ასმუსი და უმატებს დემოკრატიული და ეკონომიკურად წელგამართული საქართველო კავკასიაში დასავლური დემოკრატიის დერეფნად უნდა გადაქცეულიყო. ქვეყნის პოლიტიკური პლურალიზმი, გამოწვევა იყო ავტორიტარული და კლანური კაპიტალიზმის მატარებელი პუტინის რუსეთისათვის. ავტორის მიხედვით კრემლისთვის უდიდესი გაღიზიანება გამოიწვია სააკაშვილის მიერ აფხაზეთის პატარა ნაწილზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამ, სამხრეთ ოსეთის ნაწილში ლოიალური ადმინისტრაციის შექმნამ. „კრემლი პროვოკაციებს მიმართავდა რათა სააკაშვილს ომი დაეწყო. რუსული მხრიდან პროვოკაციებმა 2008 წლიდან იმატა. ის არა მარტო ეკონომიკურ ბლოკადაში გამოიხატა, არამედ საჰაერო თავდასხმებშიც“. ავტორი აკრიტიკებს დასავლეთს, რომელიც რუსეთის მიმართ მხოლოდ რბილი განცხადებებით შემოიფარგლა. „29 ივლისს კი რუსეთის მოკავშირე სამხრეთ ოსეთმა ცეცხლი გახსნა ქართული სოფლების მიმართულებით. რა უნდა ექნა სააკაშვილს? თუ ის იგნორირებას გაუკეთებდა ამ ამბავს და მიატოვებდა თავის მომხრეებს, მისი პრესტიჟი კატასტროფულად შეილახებოდა. სააკაშვილის თხოვნა მსოფლიოსადმი, აქტიურად ჩარეულიყო შექმნილ ვითარებაში, უპასუხოდ დარჩა. ამასობაში სააკაშვილმა მიიღო დაზვერვის ცნობა რუსეთის ჯარის ოსეთში შესვლის თაობაზე. სააკაშვილმა დაუყოვნებლივ იმოქმედა და უბრძანა ჯარს ცხინვალისკენ. მისი მიზანი იყო სამხრეთ ოსეთელთა დაბომბვების შეჩერება და არა რუსეთის ჯართან ომი“. ავტორის მონათხრობი იდენტურია იმისა, რასაც სააკაშვილი და მისი პოლიტოლოგია დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას თუ რამდენად ძლიერია ავტორზე საბაზრო ეკონომიკის გავლენის მომნუსხველი ძალა. რომელ ერთს დავუჯეროთ ივლის-აგვისტოში საქართველოდან შორს მყოფ ასმუსს თუ კონფლიქტის ზონაში მომუშავე ეუთოს გერმანელ დამკვირვებლებს, რომლებმაც უმალ განაცხადეს, რომ 7 აგვისტომდე ოსთა მხრიდან არავითარ დაბომბვას არ ჰქონია ადგილი. ამ განცხადებისათვის ეუთოს ხელმძღვანელობამ, ნაცვლად მადლობისა, გერმანელი დამკვირვებლები უმალ გაისტუმრეს პენსიაზე. ისეთი ექსპერტისათვის, როგორიც ასმუსია, მნიშვნელოვანი უნდა იყოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისადმი პატივისცემა. სწორედ აქედან გამომდინარე კოდორში ძალის დემონსტრირება მას არა თუ შეცდომად, არამედ თავხედობად უნდა შეეფასებინა. ამ ნაბიჯით არა მარტო რუსეთი გაღიზიანდა, არამედ გაეროს უშიშროების საბჭო. მის მიერ მიღებული რეზოლუციები ამაზე მეტყველებს.



ასმუსის „შედევრში“ არის უაღრესად საინტერესო და ჩემის აზრით ქართველთათვის სერიოზულად დასაფიქრებელი მომენტი, რომელსაც ჟურნალი „ეკონომისტი“ ერთობ დამაინტრიგებლად თვლის. **ომიდან ოთხი დღის შემდეგ პრეზიდენტმა ბუშმა მოიწვია ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი, სხვა მაღალი ჩინოსნები და განიხილა ცხინვალის ომი. პრეზიდენტი შეეწინააღმდეგა ჩეინის, რუსეთის საწინააღმდეგოდ საჰაერო თავდასხმის განხორციელებაში. ამერიკელ ნეოკონსერვატორთა ჯგუფი ჩეინის მეთაურობით რახანია მოითხოვდა როკის გვირაბის დაბომბვას, მაგრამ ბუშის პოზიცია, არ ჩარეულიყო კონფლიქტში, კატეგორიული იყო, როგორც ჩანს მასზე ძალზე იმოქმედა რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინის მუქარის სიტყვებმა საქართველოსთან მიმართებაში.** მკითხველმა იცის, რომ ცხინვალის ომი ზუსტად დაემთხვა (იქნებ სპეციალურადაცძ პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალს, რომელზეც პუტინის ინიციატივით ორჯერ შედგა ბუშთან საუბარი. „უბრძანა რა შეტევა 2008 წლის 7 აგვისტოს საკუთარ ჯარს,




პრეზიდენტი სააკაშვილი შეეცადა ერთბაშად სამი ამოცანის გადაჭრას: ქართული სოფლების დაცვა, ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენციის შეჩერება და ქართველთა ევაკუაციისადმი დროის მოგება“, წერს ასმუსი და იმასაც უმატებს, რომ, მან (სააკაშვილმაძ საფუძველი ჩაუყარა სისხლისმღვრელ კონფლიქტს, რომლის მოგება საქართველოს არ შეეძლო. დასაწყისიდანვე თბილისის ყველა გათვლა ეფუძნებოდა დასავლელი მეგობრების და მოკავშირეების მხრიდან პოლიტიკურ და დიპლომატიურ ჩარევას“. ამ წინადადებაში ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის სამხედრო ჩარევას, **თუმცა, როგორც აღვნიშნე აშშ-ს გარკვეულ ჯგუფს სურვილი ჰქონდა როკის გვირაბის დაბომბვის. ლოგიკის მიხედვით როკის გვირაბის აფეთქებას რუსეთის ჯარის ცხინვალში შესვლის შემდეგ თითქმის აღარაფერი მნიშვნელობა ჰქონდა. აფეთქება ჯარის შესვლის დასაბლოკად უნდა განხორციელებულიყო. ავტორის მოსაზრება ემთხვევა დასავლეთში მოარულ მოსაზრებას, რომ ომი დაგეგმილი იყო და რომ ბუშის თავშეკავებულობის გამო არ განხორციელდა. ამით თავისი რვაწლიანი პრეზიდენტობის განმავლობაში ბუშმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან არ დაუჭირა მხარი რუსეთთან მინი ომის წამოწყებას და ამ გზით რესპუბლიკელი მაკკეინისათვის დახმარების გაწევის მსურველ ადმინისტრაციის „ქორებს“.2008 წლის აგვისტოს საპრეზიდენტო მარათონში მაკკეინისა და ობამას პოზიციები თანაბარი იყო. ლიბერალი ობამას საწინააღმდეგოდ რუსული აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი მაკკეინი საკმაო ქულებს მოაგროვებდა, რაც თავისთავად განსაზღვრავდა არჩევნების ბედს. მიუხედავად ერთობ ტენდენციური მოსაზრებისა ასმუსის მოთხრობილი ამბავი დასაფიქრებელია, განსაკუთრებით სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით. დიდმა „პარტნიორმა“, რომ პატარა გამოიყენოს ანუ იხმაროს თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით, გასაკვირი არ უნდა იყოს. არც ის უნდა გაგვიკვირდეს — საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის შენს ტერიტორიაზე პატარა ომი, რომ წამოიწყოს. ძნელია გავიზიარო ასმუსის ან ნუგზარ რუხაძის გულდაწყვეტა ბუშის გადაწყვეტილების გამო. დადებით შემთხვევაში იოლი წარმოსადგენია რა ვითარება იქნებოდა საქართველოში ან საერთოდ იქნებოდა საქართველო? ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებმა ყოველგვარი რევერანსის გარეშე განაცხადეს, რომ საქართველო ნატოს წევრიც რომ ყოფილიყო ეს მას ხელს ვერ შეუშლიდა შეტევაში. ასე რომ, ამერიკელთა მიერ როკის გვირაბის დაბომბვას უდავოდ მოჰყვებოდა რუსული პასუხი, რომელიც სრული შესაძლებელია, მესამე და საბოლოო მსოფლიო ომში გადაზრდილიყო. და ეს ყველაფერი საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოსთვის მარტო ამერიკული დაბომბვა (რუსეთის უპასუხოდ) დიდი ტრაგედიის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. თუ ავღანური ომის მაგალითებს გავიხსენებთ ამერიკულ წერტილოვან თავდასხმებს სისტემატურად მოჰყოლია მშვიდობიანი სოფლებისა და ქალაქების განადგურება. ერთადერთს, რასაც მივიღებდით იქნებოდა — ბოდიში, შეგვეშალაო. პატივცემულმა ნუგზარ რუხაძემ „იმედის“ ეთერში განაცხადა — დასანანია ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, ვინაიდან რუსეთის ბოგინს წერტილი უნდა დაესვასო, მაგრამ ვინ უნდა დაუსვას რუსეთის ბოგინს წერტილი, აშშ-მა? დღევანდელ ადმინისტრაციას რომ რუსეთთან თანამშრომლობის კურსი აქვს აღებული? ან როგორ შეიძლება ერთი-მეორის ბოგინისთვის წერტილის დასმა, როდესაც ორივეს უამრავი ბირთვული იარაღი აქვს დაგროვილი? ისე კი თუ მაინცდამაინც გვსურს ორმა ბირთვულმა სახელმწიფომ ერთმანეთში არკვიონ ვითარება, უმჯობესია სხვაგან და არა საქართველოში.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

შეხვედრა „ფრაკით“

# გენაცვალე უმრავლესობაში

**პრეზიდენტი შეხვდა საპარლამენტო უმრავლესობას. შეხვედრას ვამბობ, თორემ ეგ რა პოლიტიკური შეხვედრაა — ერთი სულმოუთქმელად ლაპარაკობს (როგორც სჩვევია), სხვანი გასუსულნი, „სულმოთქმულნი“ უსმენენ. მერე როგორი მორჩილი, ყურადღებადქცეული სახენი აღიბეჭდებოდნენ, შიგადაშიგ, ეკრანზე — თითქოს სახელმწიფოს მეთაურის ენა-პირით სიბრძნე იფრქვეოდა და არა საოცარი კვეხნა-ტრაბახი, გაუთავებელი და უკიდეგანო.**

ფრაკში შეძვრომა რომ ბევრნაირია, ვიცი ეს მე, მაგრამ თუ გაუნძრევლად ჯდომითა და მორჩილი მოსმენითაც შეიძლებოდა უმაღლესი ხელისუფლის (შეთავსებით უმაღლესი მთავარსარდლისძ ფრაკში შეძრომა — ეს ნამდვილად არ მეგონა. უმრავლესობა მაინც არ ერქვას — ერთ ფრაკში როგორ უნდა დაეტიოს, ნეტავი... გენაცვალე უმრავლესობაში!..

უკიდეგანო ტრაბახი და კვეხნაო, ვთქვი მე აქ; აბა რა ჰქვია, როცა ბათუმში თურმე მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხეივანი მოგვიწყვია, ეგეც არ ვიკმარეთ და იმაზე გრძელს გავხდით — ერთ კილომეტრს მივუმატებთ... როცა არაგვისა და მტკვრის შესაყარზე (და მტრის ჯიბრზეძ მსოფლიოში თურმე ყველაზე კეთილმოწყობილ სამდინარო აუზს ავაგებთ, სადაც, თუ ჭკვიანად ვიქნებით, მტკვრისა და არაგვის შერეულ წყალსაც ჩაგვისხამენ და ზაფხულში იქ ყოფნას არცრა აჯობებს... როცა ჯვრიდან უსაზღვრო, თვალშეუვლები სივრცის „მომცველი“ გადმოსახედი გვექნება, საიდანაც ჩამოსვლა აღარ მოუნდებათ მოზღვავებულ ტურისტებს... როცა ანაკლიაში ისეთ ქვიშის პლაჟებს მოვაწყობთ თურმე, იქ ჩასულთ აღმოხდებათ — ამ ხალხს ან აკლია, ან რად უნდათ ანაკლიაო და რომ ეგვიპტისას, გინდა დუბაისას, მიუქარავს ქვიშის პლაჟებს...

ეგ რა არის! ოქროპირ პრეზიდენტს წინ რალაც „შპარგალკა“ თუ ცირკულარი თუ ინტერნეტ-მოკარნახე ედო და დროდადრო შიგ თვალის ჩაპარებით არიგებდა და არიგებდა უმრავლესობასა და ტელემაყურებელთა რიგებში საქართველოს მოწინავე ადგილებს მსოფლიოში, კიდევ უფრო მოწინავეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და კიდევ მეტად მოწინავეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და „თლა“ მოწინავეს ამიერკავკასიაში... თურმე ისე წინ გავჭრილვართ, რომ ზოგ ასპექტში, ზოგიერთ ჭრილში, მგონი ეკონომიკურადაც უკან მოგვიტოვებია უკრაინა და რუსეთი; ოღონდ კარგად ვერ ვხვდებოდი, რა მიმართულებით, რა პარამეტრებით აღმოვჩნდებოდით ხოლმე ხან პირველ ადგილზე, ხან მეორეზე, ხან ხუთეულში, ხან ათეულში, ხან თორმეტეულში... თუმცა ეგ ჩემს სიბნელეს, ჩემს გაუგებრობას მივაწეროთ, ჯანდაბას ჩემი თავი...

პრეზიდენტის გამოსვლის ბოლოსკენ (სხვათა შორის, ჩემთვის ძნელი აღსაქმელი გამოდგა, ის წარდგა უმრავლესობის წინაშე თუ უმრავლესობა წარდგა მის წინაშე...ძ ტელეკამერა გაზრდლვიალებულ, ლუსტრებიან იარუსებს აჰყვა და მილანის ლა-სკალას თეატრში თუ არა (წამიკითხავს, ექვსიარუსიანი რომააძ, თბილისის საოპერო თეატრში გეგონებოდა ეს შეხვედრა; არადა, **ავლაბრის რეზიდენციაში** დაუბარებია ეგ უმრავლესობა.

ჰოდა, ჩემი სიბნელისა და მიუხვედრელობის მიუხედავად, ქვეყნის მეთაურის ენა-პირით ოქროპირულად „გაჟღერებული“ (ერთ-ერთი მოდური სიტყვა!ძ ამდენი საქართველოს მოწინავე პოზიციის მერე ელემენტარულ შეკითხვებს დავსვამ: რომელ ადგილზე ვართ (მსოფლიოში!ძ პრეზიდენტის სასახლის „დიდებულების“ მხრივ; რომელ ადგილზე ვართ (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაშიძ დაკარგული ტერიტორიების თვალსაზრისით, კერძოდ, ერთი „ცალკე აღებული“ პრეზიდენტის ხელში დაკარგული ტერიტორიების „ასპექტში“; რომელ ადგილზე ვართ (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის!ძ საკუთარ ქვეყანაში დევნილთა რიცხვით... შემიძლია გაგრძელებაც: თუ უკრაინა და რუსეთი სიღარიბით უკან მოვიტოვეთ, რატომ გადახვეწია ამდენი ჩვენი თანამემამულე პური ჩვენი არსობისა საძებნელად, ოჯახის სარჩენად მაგ გაღატაკებულ ქვეყნებში...

ამას თუ ჭორიკანობა ჰქვია (პრეზიდენტს რომ ჰკითხოძ, გავაგრძელებ ჭორიკანობას და „დავაანონსებ“ შემდეგ პუბლიკაციას თავისი „რუბრიკაციით“: „გენაცვალე საკადრო პოლიტიკაში“; მერე კი მოვაყოლებ „გენაცვალე გავლა-გამოვლაში არა, მაგრამ გაფრენა-გამოფრენაში“-მეთქი.

ლუკა გორგაძე

მეცნიერება

# საერთაშორისო აღიარება

## წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 80 წლისთავთან დაკავშირებით

***როგორც ცნობილია, შარშან 23-28 სექტემბერს თბილისში იუნესკოს მხარდაჭერით, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ინსტიტუტის საავტო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე — „წყალდიდობები და მასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები“. საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზატორები და სპონსორები იყვნენ: წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, იუნესკო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).***

საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტმა სამეცნიერო შრომათა კრებულისათვის სტატიები მიიღეს შემდეგი ქვეყნებიდან: ეთიოპია, ყირგიზეთი, საქართველო, ინგლისი, გერმანია, სომხეთი, აზერბაიჯანი, ისრაელი, ამერიკა, პოლონეთი, ბულგარეთი, ნიდერლანდები, ჩინეთი, ჩეხეთი, ავსტრია, უკრაინა, რუსეთი, ირანი, შვეიცარია, ბელორუსია. სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტში სულ წარმოდგენილი იყო 74 მოხსენება 20 ქვეყნიდან, ხოლო თბილისში ჩამოვიდა 11 ქვეყნის მეცნიერები, მათ შორის: ინგლისიდან (1 მომხსენებელი), გერმანიიდან (3), სომხეთიდან (4), აზერბაიჯანიდან (3), ისრაელიდან (1), პოლონეთიდან (3), ბულგარეთიდან (2), ჩეხეთიდან (3), ავსტრიიდან (2), შვეიცარიიდან (1), საქართველოდან (21 მომხსენებელი);

2009 წლის 24 სექტემბერს სიმპოზიუმის გახსნისას აღინიშნა ის წარმატებები, რომელსაც ინსტიტუტმა მიაღწია ამ 80 წლის განმავლობაში. ინსტიტუტი ხომ სამართალმემკვიდრეა ყოფილი ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წყალთა მეურნეობის და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტისა. წლების განმავლობაში იგი სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენდა ამ პროფილის ერთადერთ დაწესებულებას, რომლის დანიშნულება იყო წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენები, გარემოს დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები, ზღვისა და მდინარეების სანაპირო ზონები, მელიორაცია (ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშრობა, მორწყვა არიდულ ზონებში), წყალსაცავები, ნიადაგების შესწავლა, მრავალი ჰიდროტექნიკური ნაგებობის კვლევები დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, მათი საიმედოობა და სხვა მსგავს პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

ინსტიტუტს დაარსებიდან 1947 წლამდე ხელმძღვანელობდნენ: კ. მიხაილოვი, ე. გაბიევი, ნ. სოკოლოვსკი, დ. გალილოვი, შ. ბიტლაზარი, გ. ლარინი და პ. სოლოდი. აღსანიშნავია, რომ 1947-1968 წლებში (21 წელი) ინსტიტუტს სათავეში ედგა პროფესორი მიხეილ გაგოშიძე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მის განვითარებას; 1968-2005 წლებში (38 წელი) კი ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა, დიდია მისი დამსახურება ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარებაში. ამჟამად ბატონი ცოტნე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

2005 წელს ინსტიტუტის კოლექტივი მრავალი სამეცნიერო პროექტის, კვლევისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის ფუნქციონირების გამო დაჯილდოვდა შვეიცარიის დიპლომით.



ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა 2006-2009 წლებში საქართველოს სამეცნიერო ეროვნულ ფონდში წარადგინეს 48 საგრანტო პროექტი (გაიმარჯვა — 7 პროექტმა), ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში — 5 პროექტი (გაიმარჯვა 2 პროექტმა). ინსტიტუტში ამჟამად მუშავდება 17 სახელმწიფო საბიუჯეტო თემა (პროექტი).

საქართველოს სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებების დაკვეთით 2006-2009 წლებში ინსტიტუტში შესრულდა ეკოლოგიური ექსპერტიზა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან 46-ზე მეტ გარემოსდაცვის პროექტზე; ინსტიტუტი აქტიურად ხელმძღვანელობს მდინარე დურუჯზე ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების შემსწავლელ კომისიას, რათა თავიდან იქნას აცილებული ყვარლის მოსახლეობის მუდმივ საფრთხის ქვეშ ყოფნა მოსალოდნელი წყალმოვარდნებისა და ღვარცოფებისაგან.

საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყის შედეგად მიყენებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის ოდენობა და „ბორჯომის რეგიონში ნახანძრალ ტერიტორიებზე ნიადაგის ეროზიისგან დაცვის პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების“ პროექტი საქართველოს მთავრობას განსახილველად მხოლოდ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა წარუდგინა.

სულ სიმპოზიუმზე წარდგინება გააკეთა 48 მეცნიერ-სპეციალისტმა, აქედან საზღვარგარეთიდან — 23 მეცნიერმა მსოფლიოს 10 ქვეყნიდან.

ჩემი მოხსენება საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, დაამტკიცა იუნესკომ. გამომდინარე სტატიის შინაარსიდან პრეზენტაცია ჩატარდა ადგილზე, მდინარე არაგვის ხეობაში, ჟინვალის მიწის კაშხალზე (დუშეთის რაიონში).

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ და საიუბილეო თარიღი მოგვილოცეს, საქართველოს მხრიდან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, იუნესკოს საქმეთა ეროვნულმა კომისიამ, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ინსტიტუტმა, სამთო ინსტიტუტმა, სახელმწიფო აგრარულმა უნივერსიტეტმა, სს „წყალპროექტის“ ინსტიტუტმა, სატყეო ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გეოგრაფიის ინსტიტუტმა. საზღვარგარეთიდან: სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ოგანეს ტოკმანჯიანმა და აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკოპროგნოზის ცენტრის“ პრეზიდენტმა პროფესორმა ტელმან ზეინალოვმა.

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წლის იუბილე მიულოცეს სიმპოზიუმის საერთაშორისო კომიტეტის წევრებმა, პროფესორებმა: ლორენც კინგმა (გერმანია), ერჟი სობოტამ (პოლონეთი), ალისტაირ ბორტვიკმა (ინგლისი), ნატივ დუდაიმ (ისრაელი), ვილიბალდ ლოისკანდლმა (ავსტრია), მარტინ ოვსეპიანმა (სომხეთი), ტელმან ზეინალოვმა (აზერბაიჯანი).

მისალოცი დეპეშები მოვიდა უკრაინიდან, რუსეთიდან, აშშ-დან, ნიდერლანდებიდან, ყირგიზეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბელორუსიიდან, საფრანგეთიდან, ჩინეთიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ინგლისიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.




სიმპოზიუმს ყოველდღე ესწრებოდა მეცნიერ-სპეციალისტების 150-170 დელეგატი, მათ შორის: განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, რეგიონალური მართვის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები, საქართველოს იუნესკოს ეროვნული კომისიის წარმომადგენლები. ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა მდივანმა, აკადემიკოსმა ოთარ ნათიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მილოცვა ინსტიტუტის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. სიმპოზიუმის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ: საქართველოს რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელები, სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები სხვადასხვა ინსტიტუტებიდან, უნივერსიტეტებიდან და უწყებებიდან, აგრეთვე გაეროს წარმომადგენელი საქართველოში ბატონი ერიკ კეიგარდი, აგრეთვე ქალბატონი მიკოლ შერერი — შვეიცარიის განვითარებისა და დახმარების სააგენტოს საერთაშორისო პროგრამის სპეციალისტი.

სიმპოზიუმის მსვლელობისას გაკეთებული პრეზენტაციები ძირითადად ეხებოდა წყალმოვარდნების, წყალდიდობებისა და ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზირებას, მონიტორინგის და მათთან ბრძოლის ეფექტიანი და რენტაბელური ღონისძიების დამუშავებას, თანამედროვე მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ინსტიტუტის მეცნიერ-სპეციალისტებისა და ინჟინრების დახმარებით სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ინსტიტუტის მსოფლიოში ცნობილ ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიას, სადაც სიმპოზიუმის გახსნის დროს განხორციელდა წყალდიდობების მოდელირება, რასაც მეცნიერების დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

თანახმად იუნესკოსთან გაფორმებული კონტრაქტისა და მასთან შეთანხმებული პროგრამისა, სიმპოზიუმის მსვლელობისას განხორციელდა როგორც კულტურული, ასევე პროფესიული ექსკურსიები, რომელთა ამსახველი ფოტომასალა სამეცნიერო და ფინანსურ ანგარიშთან ერთად გაეგზავნა იუნესკოს.

საერთაშორისო სიმპოზიუმის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა კრებული 538 გვერდის ოდენობით (350 ეგზემპლარი), გამოიცა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საიუბილეო ბუკლეტები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოვიწვიეთ მასმედიის წარმომადგენლები.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „წყალდიდობები და მასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები“, რომელიც მიეძღვნა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს, დაიხურა 2009 წლის 26 სექტემბერს.

სიმპოზიუმის საერთაშორისო საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გაიგზავნა პარიზში იუნესკოს ცენტრალურ ოფისში. 2009 წლის დეკემბერს იუნესკოდან მივიღეთ ინფორმაცია, რომელსაც ხელს აწერს ჰიდროლოგიური პროცესებისა და კლიმატის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზიგფრიდ დემუთი. ამონარიდიდან ტექსტიდან:

„ძალიან ნასიამოვნები ვარ სიმპოზიუმის მასალებისა და მეცნიერთა მოხსენებების მაღალი დონით. ვულოცავ ორგანიზატორებს, თქვენს ინსტიტუტს და კოლეგებს, ვისი დამსახურებაც არის ეს წარმატება. სიმპოზიუმის მასალები იმსახურებს შევიდეს იუნესკოს საერთაშორისო ინიციატივაში წყალდიდობების შესახებ. ველოდები მჭიდრო თანამშრომლობას თქვენს ინსტიტუტსა და იუნესკოს საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამის კომიტეტსა და ამავე პროგრამის სამდივნოს შორის“.



**გივი გავარდაშვილი,**
**წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**სურათებზე: პროფესორი გივი გავარდაშვილი; ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიაში წყალდიდობის მოდელირებისას; სიმპოზიუმის მონაწილეები.**

***P. S. რედაქციისაგან: სანამ ეს სტატია დასაბეჭდად მომზადდა, ცნობილი გახდა, რომ 2010 წელს ინსტიტუტმა კიდევ მიიღო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 7 გრანტი, აქედან. ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებმა – პრეზიდენტის სახელობის 4 გრანტი.***

საქმე №2-3

# გარდაბნის რაიონული სასამართლო განჩინება

**09 თებერვალი 2010 წელი** **ქ. გარდაბანი**

**გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა, მდივნის ანნა შიშნიაშვილის, მოვალე - სს „თბილსრესის“ ფინანსური დირექტორის ირაკლი შენგელიას, სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის დავით ჩაჩხიანის, კრედიტორების: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის ირაკლი შიოლაშვილის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების: ზვიად კორძაიას და ზურაბ მამნიაშვილის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის გიორგი ყანაშვილის, სს „თბილსრესის“ მუშა-მოსამსახურეთა და ტრავმირებულ პენსიონერთა წარმომადგენლის ელზა ქურასბედიანის მონაწილეობით განიხილა სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ წარმოებულ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კრედიტორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების საკითხი, რა დროსაც**

**გამოარკვია:**

2005 წლის 10 იანვრიდან სს „თბილსრესის“ ქონებაზე გახსნილია გაკოტრების საქმის წარმოება, 1996 წლის 25 ივნისის კანონის „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნული კანონის მოქმედება გაგრძელებული იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე, 2008 წლის 15 აგვისტოდან კი მოქმედება დაიწყო კანონმა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“.

2010 წლის 25 იანვარს მოვალე - სს „თბილსრესის“ ფინანსურმა დირექტორმა ირაკლი შენგელიამ განცხადებით მომართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე. სასამართლოს 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით დანიშნული იქნა სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრება 2010 წლის 29 იანვარს. მითითებულ დღეს მოვალის მოთხოვნით კრედიტორთა კრება გადადებული იქნა მ/წლის 02 თებერვალს. 2010 წლის 02 თებერვალს კრედიტორთა კრება გადაიდო სს „თბილსრესის“ კრედიტორების 96% ხმების მქონე კრედიტორთა მოთხოვნით.

სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. სს „თბილსრესის“ ქონების რეალიზაციის წესის განსაზღვრის თაობაზე;

2. სს „თბილსრესის“ კრედიტორული მოთხოვნის რეესტრში ცვლილებების და დამატებების შეტანა;

3. ა) შ.პ.ს. „ოგა“-ს კრედიტორული მოთხოვნის განხილვა;

ბ) სს „თბილსრესის“ ბალანსზე რიცხული 11836 ტონა მაზუთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის საკითხი;

გ) სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის მიერ სს „თბილსრესის“ ქონების რეალიზაციისას შესატანი თანხისათვის ანგარიშის გახსნის საკითხი.

სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე 96% ხმების მქონე კრედიტორებმა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა წარმოადგინეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფროსის წერილები, საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 38-ე მუხლის მე-$12^{1}$ პუნქტის შესაბამისად, გაკოტრების მმართველისათვის სამეურვეო ქონების გაყიდვის წესისა და პირობების დადგენის თაობაზე, სადაც აღნიშნულია:

1. სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონება გაიყიდოს აუქციონის საშუალებით 2010 წლის 6 მარტამდე.

2. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვროს 7 000 000 (შვიდი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხით ლარებში (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

3. „ბე“-ს ოდენობა განისაზღვროს საწყისი ფასის 10%-ით (აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად), ხოლო „ბიჯი“-ს ოდენობა განისაზღვროს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხით ლარებში (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

4. აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხის გადახდა მყიდველმა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2010 წლის 5 (ხუთი) მარტისა;

5. მყიდველმა უზრუნველყოს:

ა) მე-3 და მე-4 ენერგობლოკების დადგენილი წესით ექსპლუატაცია და მათი გამართული ფუნქციონირება და ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნისთანავე (მოთხოვნის შესაბამისად) ელექტროენერგიის გამომუშავება და ქსელში გაშვება;

ბ) არსებული სიმძლავრის (260 მგვტ) გამართული ფუნქციონირება მინიმუმ 2025 წლამდე;

გ) სახელმწიფოს კუთვნილი სს „თბილსრესის“ რეზერვუარებში არსებული მაზუთის უსასყიდლოდ შენახვა;

დ) სს „თბილსრესის“ ტერიტორიაზე (გარდაბანი) 100-150 მგვტ. სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე თბოსადგურის აშენება და არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა ექსპლუატაციაში გაშვება.

გარდა ამისა, დადგენილი იქნა განსაკუთრებული პირობები:

აუქციონის ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, რომელიც იდება მესამე პირის – სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც გულისხმობს: გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მონიტორინგის განხორციელებას აუქციონის პირობების და ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათი დარღვევის შემთხვევაში სანქციების გამოყენებას, მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობისა და დაწესებულ ვადაში შესაბამისი ჯარიმის (სანქციის) გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისა და ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ჩათვლით.

აუქციონის ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულებისათვის სანქციების განსაზღვრა მოხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის №1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით“ პირობებიანი აუქციონის მიზნებისათვის განსაზღვრული სანქციებით (ან სანქციის გამოყენების დროისათვის მოქმედი შესაბამისი აქტით).

სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე კენჭი ეყარა რა აღნიშნულ საკითხს, დამსწრე კრედიტორებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების ზემოაღნიშნული წესითა და პირობებით რეალიზაციას.

საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 38-ე მუხლის მე-$12^{1}$ პუნქტის შესაბამისად სასამართლო თვლის, რომ რადგან სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონება მეორე აუქციონზე ვერ გაიყიდა, კრედიტორები უფლებამოსილი არიან გაკოტრების მმართველს განუსაზღვრონ ქონების გაყიდვის წესი. სს „თბილსრესის“ კრედიტორებმა კანონით დადგენილი წესით დაუდგინეს სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების გაყიდვის წესი და პირობები, ვადა, რომელსაც სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე ეყარა კენჭი და მიღებული იქნა სრული მხარდაჭერა.

ასევე გაკოტრების მმართველმა დავით ჩაჩხიანმა კრებაზე მოითხოვა ცვლილებები და დამატებები იქნეს შეტანილი სს „თბილსრესის“ კრედიტორული მოთხოვნების რეესტრში:

1. სემეკის კრედიტორული მოთხოვნა შემცირდეს 73537,38 ლარით (გამომდინარე შედარების აქტიდან)

2. კრედიტორული მოთხოვნის მე-2 რიგში დაემატოს სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 23200 ლარის მოთხოვნა, თანახმად მათ მიერ შესრულებული სამუშაოსი.

3. გაზის ტრანსპორტირების კომპანიის კრედიტორული მოთხოვნა გაიზარდოს 99908,02 ლარით მ/წლის დეკემბერ-იანვარში დარიცხული გადასახადის გამო.

4. კრედიტორული მოთხოვნის მე-2 რიგს დაემატოს სს „თბილსრესის“ თანამშრომელთა ხელფასების, ხელზე გასაცემი, 1 300 000 ლარის მოთხოვნა, დარიცხული და მოსალოდნელი დეკემბერ-იანვარ-თებერვლის თვეში.

სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე კენჭი ეყარა რა აღნიშნულ საკითხს, დამსწრე კრედიტორებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს სს „თბილსრესის“ კრედიტორული მოთხოვნების რეესტრში გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების შეტანას.

საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-5-მე-7 პუნქტების შესაბამისად კრედიტორთა კრება აღნიშნული კანონის მიხედვით განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უბრალო უმრავლესობით.

სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე განხილული იქნა შ.პ.ს. „ოგა“-ს კრედიტორული მოთხოვნის განაცხადი, რაც არ იქნა აღიარებული გაკოტრების მმართველის დავით ჩაჩხიანის მიერ (იხ. საქმეში). გაკოტრების მმართველის აღნიშნული პოზიცია გაიზიარა კრებაზე დამსწრე ყველა კრედიტორმა.

საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლოში დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნის აღიარების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მხარეთა მოსმენის შედეგად და ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით. კანონის ამ ნორმით ზუსტდება, რომ სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება არამარტო აღიაროს დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნა, არამედ უარყოს ასეთი მოთხოვნა ვადების გაშვების ან სხვა კანონიერი საფუძვლის გამო. შ.პ.ს. „ოგა“-ს განაცხადს არ ახლავს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად, შემოტანილია წარმომადგენლობაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ, მინდობილობა გაცემულია შ.პ.ს. „დრუჟბა“-ს დირექტორის სახელით. ასევე მასალებშია მეორე მინდობილობა, გაცემული ფიზიკური პირის - ომარ გოგიას მიერ, აღნიშნული მინდობილობაც დაუმოწმებელია, განაცხადს არ ერთვის მტკიცებულება, რაც საფუძველს მისცემს სასამართლოს კრედიტორად აღიარების თაობაზე. ის ფაქტი, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება შ.პ.ს. „ოგა“-ს და შ.პ.ს. „დრუჟბა“-ს უფლებამონაცვლეობის საკითხი, საფუძვლად ვერ დაედება შ.პ.ს. „ოგა“-ს კრედიტორად აღიარებას. ამასთან, მოთხოვნა შემოტანილია დაგვიანებით.

სს „თბილსრესის“ კრედიტორთა კრებაზე მოსმენილი იქნა ასევე გაკოტრების მმართველის განმარტება სს „თბილსრესის“ ბალანსზე რიცხული 11836 ტონა მაზუთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის საკითხი და გაკოტრების მმართველის მიერ სს „თბილსრესის“ რეალიზაციის თანხისათვის ცალკე ანგარიშის გახსნის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-$4^{5}$, 27-ე, 29-30-ე, 38-ე მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით

**დაადგინა:**

1. დამტკიცებული იქნეს სს „თბილსრესის“ 2010 წლის 2-9 თებერვლის კრედიტორთა კრებაზე კრედიტორთა კენჭისყრის შედეგები, კერძოდ:

**ა)** კრედიტორთა მიერ განსაზღვრული სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონების გაყიდვის წესი შემდეგი პირობებით:

1) სს „თბილსრესის“ სამეურვეო ქონება გაიყიდოს აუქციონის საშუალებით 2010 წლის 6 მარტამდე.

2) სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვროს 7 000 000 (შვიდი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხით ლარებში (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

3) „ბე“-ს ოდენობა განისაზღვროს საწყისი ფასის 10%-ით (აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად), ხოლო „ბიჯი“-ს ოდენობა განისაზღვროს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხით ლარებში (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

4) აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხის გადახდა მყიდველმა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2010 წლის 5 (ხუთი) მარტისა;

5) მყიდველმა უზრუნველყოს:

ა) მე-3 და მე-4 ენერგობლოკების დადგენილი წესით ექსპლუატაცია და მათი გამართული ფუნქციონირება და ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნისთანავე (მოთხოვნის შესაბამისად) ელექტროენერგიის გამომუშავება და ქსელში გაშვება;

ბ) არსებული სიმძლავრის (260 მგვტ) გამართული ფუნქციონირება მინიმუმ 2025 წლამდე;

გ) სახელმწიფოს კუთვნილი სს „თბილსრესის“ რეზერვუარებში არსებული მაზუთის უსასყიდლოდ შენახვა;

დ) სს „თბილსრესის“ ტერიტორიაზე (გარდაბანი) 100-150 მგვტ. სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე თბოსადგურის აშენება და არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა ექსპლუატაციაში გაშვება.

განსაკუთრებული პირობები:

აუქციონის ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, რომელიც იდება მესამე პირის – სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც გულისხმობს: გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მონიტორინგის განხორციელებას აუქციონის პირობების და ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათი დარღვევის შემთხვევაში სანქციების გამოყენებას, მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობისა და დაწესებულ ვადაში შესაბამისი ჯარიმის (სანქციის) გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისა და ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ჩათვლით.

აუქციონის ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულებისათვის სანქციების განსაზღვრა მოხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის №1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით“ პირობებიანი აუქციონის მიზნებისათვის განსაზღვრული სანქციებით (ან სანქციის გამოყენების დროისათვის მოქმედი შესაბამისი აქტით).

**ბ)** ცვლილებები იქნეს შეტანილი 2010 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით სს „თბილსრესის“ კრედიტორული მოთხოვნების რეესტრში შემდეგი სახით:

1)სემეკის კრედიტორული მოთხოვნა შემცირდეს 73537,38 ლარით (გამომდინარე შედარების აქტიდან).

2) კრედიტორული მოთხოვნის მე-2 რიგში დაემატოს სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 23200 ლარის მოთხოვნა, თანახმად მათ მიერ შესრულებული სამუშაოსი.

3). გაზის ტრანსპორტირების კომპანიის კრედიტორული მოთხოვნა გაიზარდოს 99908,02 ლარით მ/წლის დეკემბერ-იანვარში დარიცხული გადასახადის გამო.

4) კრედიტორული მოთხოვნის მე-2 რიგს დაემატოს სს „თბილსრესის“ თანამშრომელთა ხელფასების, ხელზე გასაცემი, 1 300 000 ლარის მოთხოვნა, დარიცხული და მოსალოდნელი დეკემბერ-იანვარ-თებერვლის თვეში.

2. შ.პ.ს. „ოგა“-ს სასამართლოში დაგვიანებით წარმოდგენილი მოთხოვნა კრედიტორად აღიარების თაობაზე უარყოფილი იქნეს უსაფუძვლობის გამო.

3. აღნიშნული განჩინება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე, ჟურნალში „საკანონმდებლო მაცნე“ და ასევე გაზეთებში „24 საათი“ და „საქართველოს რესპუბლიკა“.

4. გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას.

5. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გადაცემიდან 5 დღის ვადაში გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 14).

**მოსამართლე: ხელმოწერილია**
**ქ. ლუაშვილი**

**ასლი დედანთან სწორია კანც. გამგე:**
**ნ. სვანი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისში „გამცემებს" ეძებენ

**საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის უკმაყოფილოთა რიგი შეავსო ცნობილმა ჟურნალისტმა, თბილისის დამოუკიდებელი სტუდიის „რეპორტიორის" ხელმძღვანელმა ვახტანგ კომახიძემ. მან ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გაუგზავნა ღია წერილი იმის განმარტებით, თუ რატომ სურს მას მიიღოს პოლიტიკური თავშესაფარი შვეიცარიაში. მან დევნილთა ბანაკიდან თავის თანამემამულეებს შეატყობინა: „დღევანდელ საქართველოში ჩემი პროფესიული საქმიანობა იზღუდება, საფრთხის ქვეშაა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების თავისუფლება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე".**

ვახტანგ კომახიძე და მისი სტუდია ამზადებდნენ სკანდალურ სატელევიზიო გამოკვლევას საქართველოს ხელმძღვანელობის საქმიანობის შესახებ. ამ ფილმების ტრანსლაციას ახდენდნენ პატარა ოპოზიციური ტელეკომპანიები „მაესტრო" და „კავკასია". ბევრს დაამახსოვრდა სიუჟეტი, რომელშიც ეჭვქვეშ იყო დაყენებული 2005 წელს მაშინდელი პრემიერის ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შესახებ ოფიციალური ვერსია მხუთავი გაზით მოწამვლის შედეგად.

დეკემბერში ტელეჟურნალისტი ორ ქართველ პოლიტოლოგთან და სამართალდამცველთან ერთად იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთში. ის ამზადებდა ფილმს, რომელშიც უნდა მოეთხრო საქართველოს საზოგადოებისთვის ცხინვალის მცხოვრებთა თვალსაზრისის შესახებ 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტზე. სამშობლოში გაგზავნილ თავის წერილში ბატონი კომახიძე საუბრობს იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში მას აცნობეს, თუ საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე როგორ ჩავიდა იქ სახელმწიფო მინისტრი (ალბათ, ეს იყო რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი) რომელიც „ცხინვალის ხელმძღვანელობასთან ათანხმებდა საკითხს ცხინვალიდან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ალანა გაგლოევას ბებიის სასწრაფო ევაკუაციის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ მიატოვა უპატრონოდ საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობა.

ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება და სპეციალური სამსახურები სამხრეთ ოსეთის მონახულების შემდეგ მას ემუქრებოდნენ. შედეგად მას მოუწია მიეღო „უმძიმესი გადაწყვეტილება" და ეთხოვა თავშესაფარი. მაგრამ საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, რომ ვახტანგ კომახიძეს მათთვის არ მიუმართავს ამ დაშინებებთან დაკავშირებით. ალანა გაგლოევამ „სრული აბსურდი" უწოდა იმას, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მისი ბებიის ევაკუაციას. „მან ცხინვალი ტაქსით დატოვა", – განაცხადა ქალბატონმა გაგლოევამ. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მის ბებიას საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეხვდა ნათესავი საკუთარი ავტომანქანით.

ცნობილ ჟურნალისტთან დაკავშირებული სკანდალი მიუთითებს იმაზე, რომ ცხინვალის კონფლიქტის კულისებში შეიძლება იმალებოდეს მოულოდნელი საინფორმაციო სიუჟეტები, რომელთა გახმაურებაც ძნელად რომ გაახარებს საქართველოს ხელისუფლებას.



ამჟამად საქართველოს ოპოზიცია სულ უფრო აქტიურად აკისრებს პასუხისმგებლობას ხელმძღვანელობას იმ მოვლენებისთვის და ცდილობს დაიწყოს დისკუსია იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო რუსეთთან შერიგება, და თუ საჭიროა, რა პირობებით.

ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ მოსკოვთან კონტაქტები არ იქნება, ვიდრე რუსეთი არ გამოვა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან და არ გააუქმებს ამ რესპუბლიკების დიპლომატიურ აღიარებას. სხვათა შორის, როგორც თბილისის გამოცემა „რეზონანსი – მთელი კვირა" იუწყება, პარლამენტის ყოფილი სპიკერი, ოპოზიციური „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი ერთი მეორის მიყოლებით გზავნიან მოსკოვში ემისრებს, ცდილობენ, მიაღწიონ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან ან პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრას. მაგრამ ისინი ურთიერთობაზე უარს აცხადებენ. გაზეთ „ვერსიისთვის" მიცემულ ინტერვიუში ქალბატონმა ბურჯანაძემ გაიხსენა, რომ 2004 წელს რუსეთი ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს აჭარაში კრიზისის დროს, რომელიც დამთავრდა ავტონომიის ხელმძღვანელის ასლან აბაშიძის გაქცევით ბათუმიდან. ამის შემდეგ, მისი სიტყვებით, საქართველოში ჩამოდის წინადადებებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი. რას ეუბნებოდა რუსეთის წარმომადგენელს მიხეილ სააკაშვილი და თუ როგორ მოიქცა იგი შემდეგ, ნინო ბურჯანაძე მზადაა განაცხადოს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტთან პირდაპირ ტელედებატებში. ჯერჯერობით მან გვაცნობა, რომ „იმ დროისთვის არსებული რეალიების შენარჩუნებით" რუსეთთან ურთიერთობაში საქართველო თავიდან აიცილებდა 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიას.

მიხეილ სააკაშვილს არ გაუცია პასუხი ბრალდებაზე, მაგრამ გამოვიდა მკაცრი კრიტიკით ყველა ქართველი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ კვლავ მოაწესრიგონ გაწყვეტილი კავშირები მეზობელ ქვეყანასთან. „ბავშვებმაც კი იციან, რომ რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებით დამპყრობელია", – თქვა სააკაშვილმა მოსწავლეებთან შეხვედრის დროს. მაგრამ ცნობილი ქართველი ოპოზიციონერი, გაეროში ექს-ელჩი, „ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ ქვეყნის დღევანდელ ხელმძღვანელობას არ გააჩნია რესურსები კავშირურთიერთობათა აღდგენისთვის რუსეთთან. მისი აზრით, უნდა დავიწყოთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისა და სატრანსპორტო კავშირებით, სახალხო დიპლომატიით, რათა თანდათანობით მივიდეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ოკუპაციის დამთავრებამდე". ამ დღეებში ბატონმა ალასანიამ მონაწილეობა მიიღო ევროპაში უშიშროების მიუნხენის კონფერენციაში, სადაც შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს სერგეი ლავროვს. ქართველმა პოლიტიკოსმა წამოაყენა წინადადება, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის დიალოგის აღდგენაში უნდა ჩაერთონ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც, მისი აზრით, მოსკოვი ყურს უგდებს. ეს შეიძლება იყოს გერმანია. ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ სერგეი ლავროვთან აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პროცესებთან დაკავშირებით, მას „გაუჩნდა ფრთხილი ოპტიმიზმი", რუსეთის დიპლომატიის ხელმძღვანელს სურს მოწესრიგდეს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის და მხარს უჭერს დიალოგს.

ამ დროს რუსთაველის პროსპექტზე თბილისის ცენტრში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტები ავრცელებენ ფურცლებს, რომლებშიც ჩამოთვლილია რუსეთის ყველა „ბოროტმოქმედება" –1921 წელს წითელი არმიის მენშევიკურ საქართველოში შემოსვლიდან 2008 წლის კონფლიქტამდე, რის შემდეგაც მოსკოვმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. პარტიის წარმომადგენლები უხსნიან თბილისელებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მხარდამჭერი ქართველი პოლიტიკოსები, პირველ რიგში ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ოპოზიციური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი – ესენი „გამყიდველები" არიან, რომლებიც ცდილობენ ჩამოაშორონ ქვეყანა პროდასავლურ კურსს.

თავად ზურაბ ნოღაიდელი ამ დღეებში იყო მოსკოვში და მან ხელი მოაწერა შეთანხმებას პარტიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ „ედინაია როსსიასთან". „სამართლიანი საქართველოსთვის" ხელმძღვანელობის წარმომადგენელი დეპუტატი პეტრე მამრაძე დარწმუნებულია, რომ მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზაცია შეესაბამება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს: „რუსეთთან ულტიმატუმის ენაზე საუბრის მცდელობა განწირულია".

„საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ არ ისურვოს მასთან საუბარი, – განაცხადა თბილისელმა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა. – რუსეთს არ სურს სააკაშვილთან ურთიერთობა, ამასთან ყველაფერს აკეთებს, რაც სურს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ თუ საქართველოში შეიცვლება ხელისუფლება და ქვეყნის სათავეში მოვა ავტორიტეტიანი პოლიტიკოსი, რუსეთი იძულებული იქნება დაამყაროს მასთან კონტაქტები. რაც შეეხება ზურაბ ნოღაიდელსა და მის მომხრეებს, თავდაპირველად უმჯობესი იქნებოდა მოეპოვებინათ მხარდაჭერა ქართველი ამომრჩევლებისგან და არა მოსკოვში. მაგრამ ისინი პირიქით იქცევიან და გვირჩევნებენ, რომ რუსეთი მზად არის მათ დასახმარებლად. ეს საკმაოდ სარისკოა".

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## პროექტს თხევადი გაზის ტრანსპორტირების შესახებ, საქართველო რუსეთის გვერდის ავლით ახორციელებს

**ფოთში რომ ჩახვალ, ვერასოდეს იფიქრებ, რომ გაზსადენების ლაბირინთები, რომლებიც ატარებენ კასპიისა და შუა აზიის გაზს, იმყოფება ამ მივარდნილ ქართულ ქალაქში, სადაც ქათმები, ძროხები და ღორები მექანიკურად დაძრწიან გზების პირას საჭმლის ძებნაში. ფოთი ბევრად უფრო ჩამორჩენილი ქალაქია, ვიდრე მეზობელი ბათუმი და იგი ძალიან დაზარალდა რუსეთის ოკუპაციისგან ოსეთის ომის დროს.**

მაგრამ გარემოებუნება შესანიშნავია. მცენარეების გადარჩენა გარჩევისგან მოხერხდა უკანასკნელ პერიოდში, ვინაიდან ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის შემდეგ მოხერხდა მხოლოდ მახლობელ სოფლებში ელექტროების გაყვანა. ანდრეი პლატონოვმა ოდესღაც დაწერა: „სამშობლო და ელექტროება". გაზის ექსპორტის გასაღები არის თხევადი გაზით რუსეთის გვერდის ავლით. სააკაშვილის მთავრობამ ახლახან წარმოადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფოთის ნავსადგურის თხევადი გაზის ტრანსპორტირების ტერმინალად გადაქცევას. საქართველოს ხელისუფლებამ ცნობაც კი გაავრცელა აზერბაიჯანსა და რუმინეთს შორის ხელშეკრულების მოწერის შესახებ აზერბაიჯანის გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით რუსეთის გვერდის ავლით.

„ჩვენ აგრეთვე გვსურს მივიღოთ მონაწილეობა ამ პროექტში", – აღიარებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი. იგი ამტკიცებს, რომ ამ გზით სურთ გამოიყენონ ბათუმის ტერმინალი ნავსადგურში გაზის მისაწოდებლად. მინისტრმა დაადასტურა, რომ სუფსის ტერმინალი აღდგება და ამ პროექტში თავისი მონაწილეობით საქართველოს განზრახული აქვს განამტკიცოს ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული მარშრუტი. გაზის გათხევადების ქარხნის სიმძლავრემ შეიძლება შეადგინოს წელიწადში 5 ათასიდან 10 ათას მილიონ კუბურ მეტრამდე.

თბილისი ამტკიცებს, რომ მის განზრახვაში შედის აგრეთვე სხვა მწარმოებლების ჩართვაც, ისეთებისა, როგორიცაა თურქმენეთი. „ამ შემთხვევაში ქარხნის სიმძლავრე შეიძლება გაიზარდოს წელიწადში 15-20 მილიონ კუბურ მეტრამდე, გაზი კი შეიძლება მიეწოდოს სხვა ნავსადგურებსაც რუმინეთის გარდა", – გვაცნობა მინისტრმა. ეს პროექტი კონკურენციას გაუწევს უკვე გაცხადებულ გაზსადენებს „სამხრეთ ნაკადს", და „ნაბუქოს", რომლებსაც ერთი და იგივე მიზანი აქვთ დასახული: გაზის მიწოდება ევროპაში მხოლოდ სხვადასხვა მარშრუტებით და სხვადასხვა ქვეყნების დაფინანსებით. „სამხრეთ ნაკადი" შავი ზღვის ფსკერზე გაივლის.

მისი მთავარი ორგანიზატორი რუსეთია. მეორე მილი გაივლის თურქეთის ტერიტორიაზე. ამ პროექტის მთავარი სულისჩამდგმელი ამერიკის შეერთებული შტატებია. ბევრი ქვეყანა, ისეთები, როგორიცაა თურქეთი, საბერძნეთი და იტალია, მოგებას ნახულობენ ორივე მარშრუტისგან, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ აზერბაიჯანის გაზი საკმარისი იქნება მხოლოდ ერთის განაცხადის დაკმაყოფილებისთვის. მიუხედავად ამისა, თბილისის გეგმამ შეიძლება გაუფუჭოს მას ურთიერთობა ანკარასთან, ვინაიდან საფრთხის ქვეშ აყენებს თურქეთის განზრახვას შეასრულოს ხიდის როლი შუა აზიასა და ევროპას შორის, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე იმის შესახებ, რომ ეს ჩაშლით ემუქრება მის ძალისხმევას, გააძლიეროს შავ ზღვაზე დიდტვირთიანი გემების მოძრაობის შემცირება.

ესპანეთი გამოდის, როგორც თხევადი გაზის ერთ-ერთი მთავარი მსოფლიო ექსპორტიორი. ბრიუსელში მომუშავე ერთ-ერთმა დიპლომატმა დაადასტურა, რომ ამ ტექნოლოგიის გადაცემა განიხილებოდა ერთ-ერთ უკანასკნელ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ესპანეთისა და რუსეთის მთავრობათა წარმომადგენლები. ამჟამად მოსკოვი ამუშავებს რამდენიმე პროექტს თხევადი გაზის მიწოდების შესახებ ხმელეთზე პირდაპირ საზღვარზე, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშია.

EL MUNDO

## დედამიწის ზურგზე



**გამოქვეყნდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის უნიკალური ფოტოები გადაღებული შვეულმფრენიდან**

მაშინ მხოლოდ პოლიციის შვეულმფრენებს ჰქონდათ ნება დართული, გადაეღოთ ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, რომელსაც დაეჯახა ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებული თვითმფრინავები.

* * *



**ურუგვაის ყოფილ პრეზიდენტს 30 წლის პატიმრობა მიუსაჯეს**

სასამართლომ 81 წლის ექს-დიქტატორი ხუან მარია ბორდაბერი მიიჩნია დამნაშავედ ურუგვაის კონსტიტუციის დარღვევაში, 9 კაცის გატაცებაში, აგრეთვე ორ მკვლელობაში მძიმე ვითარებაში. ბორდაბერი ხელისუფლებაში მოვიდა 1971 წელს და ორი წლის შემდეგ დაშალა პარლამენტი სამხედროების მხარდაჭერით. იგი დააპატიმრეს 2006 წელს.

* * *

**აშშ-ს აღმოსავლეთ შტატებში ამჟამინდელი ზამთარი ყველაზე დიდთოვლიანია უკანასკნელი 110 წლის განმავლობაში**

მხოლოდ ნიუ-იორკში თოვლის გაწმენდა დაჯდება დაახლოებით 10 მილიონი დოლარი. უამინდობა დაახლოებით ათამდე კაცის დაღუპვის მიზეზი გახდა. ბევრ ქალაქში კვირის ბოლომდე დაიკეტება სკოლები.



* * *

**უკრაინის უმაღლესი რადა აპირებს დანიშნოს დედაქალაქის მერის ვადამდელი არჩევნები**

ამის საბაბი გახდა კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები ქალაქის ხელმძღვანელის ლეონიდ ჩერნოვეცკის და კიევის სხვა ხელმძღვანელის მხრიდან.

* * *

**აშშ-ში გარდაიცვალა „ლეგენდარული და სკანდალური" ჩარლი უილსონი, ყოფილი კონგრესმენი-დემოკრატი**

მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ავღანეთის „მოჯაჰედების" ამერიკული მხარდაჭერის ორგანიზაციაში, რომელიც 1980-იან წლებში იბრძოდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. ეს ოპერაცია ცნობილი გახდა ჟურნალისტ კრაილის წყალობით და მას „ჩარლი უილსონის ომს" უწოდებდნენ". ამ წიგნის მიხედვით გადაღებულია ფილმი ტომ ხენკსისა და ჯულია რობერტსის მონაწილეობით.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?




ქვემოთ ჯგუფის იდეურ პოზიციას განვიხილავთ დაწვრილებით. ჯერ კი დავასახელოთ მისი მონაწილეები. ყველაზე გავლენიანი მემარცხენე კონსერვატიული ფიგურა იყო ს.ვ.კოსიორი, უძლიერესი უკრაინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი. ქვეყნის ხელმძღვანელობაში საერთოდ მეტად ძლიერები იყვნენ უკრაინელი რეგიონელები – ვ.ი.ჩუბარი, პ.პ.პოსტიშევი და გ.ი.პეტროვსკი. ძლიერი პოზიციები ეკავათ რსფს რესპუბლიკის რეგიონულ ლიდერებს, სამხარეო კომიტეტების პირველ მდივნებს: ი.ვ.ვარეიკისს, მ.მ.ხატაევიჩს, რ.ი.ეიხეს, ბ.ბ.შებოლდაევს, კ.ი.ბაუმანს.

### კიროვის დუმილი

დიდია ცდუნება მივაკუთვნოთ ამ მეტად გავლენიან ჯგუფს ს.მ.კიროვიც, რომელიც ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან – ლენინგრადის ორგანიზაციას. რეგიონული ბარონები (კოსიორი, ვარეიკისი, შებოლდაევი, ეიხე და სხვებიძ სწორედ კიროვის გახდომას აპირებდნენ პარტიის ლიდერად სტალინის მაგივრად XVII ყრილობაზე. მაგრამ ფრთხილმა „მირონიჩმა“ ამგვარ საჩუქარზე უარი თქვა და ამის შესახებ აცნობა სტალინს. ზოგიერთი ამას აფასებს, როგორც ბელადისადმი ლოიალობის გამოვლენას, ზოგს მიაჩნია, რომ კიროვი ფსონს ჩავიდა სტალინის ხელისუფლებიდან თანდათანობით ჩამოშორებაზე. ეს უკანასკნელი ვარაუდი მოგონილი ჩანს. კიროვს არ გააჩნდა არავითარი ზოგადპარტიული და საკავშირო მასშტაბის პოლიტიკური ამბიციები. პარტიული დოკუმენტაცია მოწმობს იმაზე, რომ ის იშვიათად ესწრებოდა პოლიტბიუროს სხდომებს, და აზრს გამოთქვამდა მხოლოდ ლენინგრადთან დაკავშირებულ საკითხებზე. მას მხოლოდ ქალაქის საჭიროებანი აღელვებდა – ახალი კაპიტალდაბანდებანი, რესურსები, ადგილობრივი კადრების გადინება დედაქალაქში, ახალი სავაჭრო წერტილების გახსნა. ხრუშჩოვი თავის მოგონებებში იტყობინება: „კიროვს საერთოდ არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. მე თავად მასთან არა მქონია უშუალო კონტაქტები, მაგრამ შემდეგ მიქოიანს ვეკითხებოდი ხოლმე კიროვზე... მიქოიანი მას კარგად იცნობდა. ის მიყვებოდა: „როგორ გიპასუხო? სხდომებზე ის არც ერთხელ რაიმე საკითხზე არ გამოსულა. დუმს და მორჩა. ისიც არ ვიცი, რას ნიშნავს ეს“. მართლაც ძალიან უცნაურია. კიროვი მაინც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ სათავეში ედგა „მეორე დედაქალაქს“. ამბობენ, რომ წყნარ ტბორში ეშმაკები ბუდობენო, და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შეეხებოდეს კიროვს. ხომ არ წარმოადგენდა იგი ჩამოყალიბებულ რეგიონულ ლიდერს, რომელიც ოცნებობდა ლენინგრადის სრულ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ თავის სურვილს ფრთხილად მალავდა (თავად რეგიონალებისგანაცძ?

ლოგიკა გვიკარნახებს, რომ ოპოზიცია არასოდეს მიანიჭებდა კიროვს უპირატესობას სტალინთან, თუ მასში დაინახავდა ბელადისადმი სრულიად ლოიალურს. რომელიღაც კატამ სტალინსა და კიროვს შორის გაირბინა.

ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს დაადასტუროს, რომ ორივე ლიდერს ერთმანეთთან აკავშირებდა არა მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა, არამედ მეგობრობაც. მაგალითად, კიროვის ბიოგრაფი ა.კირილინა გვაცნობებს, რომ ლენინგრადის ბოსი მოსკოვში თავისი ვიზიტების დროს ცხოვრობდა სტალინთან. ადრე ორჯონიკიძესთან ცხოვრობდა: **„ბოლო წლებში სერგოსთანაც მიდიოდა, საუზმობდა მასთან, ტოვებდა პორტფელს, მიდიოდა ცენტრალურ კომიტეტში. მაგრამ ცენტრალურ კომიტეტში სხდომების დროს სტალინი უკვე აღარ უშვებდა კიროვს, და კიროვი პორტფელისთვის მიდიოდა უკვე გამგზავრების წინ...“**

ერთი შეხედვით ეს ცნობა მოწმობს ორ ხელმძღვანელს შორის უგულითადეს ურთიერთობაზე. მაგრამ ყოველგვარ ასეთ ამბავს უნდა შევხედოთ ორჯერ მაინც. და მეორე შეხედვით წარმოიქმნება უკვე „ბუნდოვანი ეჭვი“. „არ უშვებდა“ – ეს რაღაც საეჭვოდ გამოიყურება. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ სტალინი კიროვს ბლოკავდა, არ სურდა, რომ მას განსაკუთრებული კონტაქტები ჰქონოდა სხვა ლიდერებთან. პორტფელთან დაკავშირებითაც მეტად საინტერესოა – კიროვი მაინც უპირატესობას ანიჭებდა მის დატოვებას ორჯონიკიძესთან. რატომ? იქნებ მას ის დასჭირვებოდა საქმესთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, კიროვს არ მიაჩნდა საჭიროდ ისეთი მნიშვნელოვანი ნივთი, როგორიცაა პორტფელი, დაეტოვებინა სტალინის გვერდით.

არის დამოწმებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მივაკუთნოთ კიროვი გენერალური მდივნის ერთ-ერთ თავგამოდებულ მოწინააღმდეგეთა რიცხვს. მეტად საინტერესო მონაცემებს იტყობინება ფრანგი ჟ.ვან ეიჟენორტი, ტროცკის ყოფილი მდივანი და მცველი 1932-1939 წლებში. მის თანახმად, კიროვი ცდილობდა დაემყარებინა კონტაქტები „რევოლუციის დემონთან“, როდესაც ეს უკანასკნელი პარიზში ცხოვრობდა. „მირონიჩმა“ თავისი ნდობით აღჭურვილი პირი გაგზავნა საფრანგეთის დედაქალაქში, მაგრამ ტროცკი იქ არ აღმოჩნდა და მის ნაცვლად წარგზავნილი შეხვდა ლევ სედოვს. ეიჟენორტის ცნობა ფანტასტიკური გგონია, განსაკუთრებით ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით. და მაინც, მიუხედავად ამისა, მასზე სრული უარის თქმა არ შეიძლება – ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყარო. სავსებით შესაძლებელია, რომ რაღაც კონტაქტები ტროცკისტებთან კიროვს მაინც ჰქონდა, თუნდაც ზინოვიევის ყოფილი კადრების მეშვეობით (მემარცხენე ოპოზიციის ერთ-ერთი ბელადი კიროვამდე სათავეში ედგა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციასძ.

მათთან კიროვს ჰქონდა საკმაოდ მთრთოლვარე დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ 20-იანი წლების შუა პერიოდში ის მემარცხენე ოპოზიციასთან ბრძოლის მოწინავე ხაზზე იყო. ეს ოპოზიცია ყველაზე ძლიერი სწორედ ჩრდილოეთ დედაქალაქში იყო. ზინოვიევის ოპოზიციის ბევრ მონაწილეს კვლავ ეკავა მნიშვნელოვანი პოზიციები ლენინგრადის პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობაში. მათ, რასაკვირველია, „მოინანიეს“, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ეს მონანიება ყალბი იყო. მთელი საფუძვლით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყოფილ ზინოვიეველებს აქტიური კონტაქტები ჰქონდათ თავიანთ ძველ ბელადებთან და მეტად უკმაყოფილონი იყვნენ სტალინის რეჟიმით. ლენინგრადში მათ შექმნეს საიდუმლო ოპოზიციური წრე, რომელიც გამოააშკარავეს სახელწოდებით „ლენინგრადის ცენტრი“. მიჩნეულია, რომ ჩეკისტებმა მოახდინეს ამ ცენტრის საქმის სრული ფალსიფიკაცია, მაგრამ ეს საეჭვოა. კიროვი ყოფილ ზინოვიეველებს არ მოუკლავთ, ისინი ტერორზე არც ფიქრობდნენ, თუმცა ოპოზიციური შეხედულებანი მაინც ჰქონდათ. მნიშვნელოვანია, რომ წრის ლიდერმა ი.კოტოლივანოვმა, 20-იანი წლების მემარცხენე ოპოზიციის აქტიურმა მონაწილემ და ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტის ფაკულტეტის პარტიული ბიუროს მდივანმა არ აღიარა კიროვზე თავდასხმისთვის მზადებაში მონაწილეობა, სამაგიეროდ აღიარეს საიდუმლო ორგანიზაციის შექმნა და იკისრა მორალური პასუხისმგებლობა კიროვის მკვლელობაზე. და ეს გამოძიების მხრიდან მეტად მკაცრი ზემოქმედების მიუხედავად. ისტორიკოსი ა.ვ.შუბინი, რომელიც ანტისტალინურ პოზიციაზე იდგა, ამასთან დაკავშირებით იძლევა ასეთ საჩვენებელ დასკვნას: **„როგორც ზინოვიეველთა უმრავლესობას, მასაც არ გაუწყვეტია კავშირი თანამოაზრეთა ჯგუფთან, რომელმაც გადაწყვიტა, ემოქმედა პარტიის შიგნით. კოტოლივანოვის განცხადებას თხოვნით სკპ (ბ)-ში აღდგენის შესახებ რეკომენდაციას აძლევდა თავად კამენევი“** („ბელადები და შეთქმულები“ძ.

კიროვი გააფრთხილეს იმის შესახებ, რომ ყოფილი ზინოვიეველების ნდობა არ შეიძლება. მაგრამ ის პირდაპირ საპირისპიროდ მოქმედებდა. რატომ? სავსებით შესაძლებელია, რომ „მირონიჩმა“ მაინც გადაწყვიტა ჩართულიყო პოლიტიკურ თამაშში – სულ ბოლო მომენტში. ხომ არის კიდევ ერთი მოწმობა „იქიდან“. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწე მ.ბოდი, ლ.ლევინის კრემლის ექიმის სიტყვებით, საუბრობდა კიროვის „საიდუმლო აზრებზე“, რომელთა მიზანიც იყო უარის თქმა კოლმეურნეობებზე, ახალი ეკონომიკური პოლიტიკისკენ (ნეპიძ დაბრუნება და ყველა ოპოზიციური მიმართულებისთვის, მათ შორის ტროცკისტებისთვისაც, თავისუფლების მინიჭება.

ნებისმიერ შემთხვევაში ოპოზიციას ხელს აძლევდა კიროვი თავისი მეტად რეგიონული გონებით. თავის დროზე ოპოზიცია ჩავარდა სტალინთან დაკავშირებით, რომელიც, მართალია, აპარატის მუშაკი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეუძლია იაზროვნოს საერთო-ეროვნული მასშტაბებით. კიროვი ტიპური ვოტჩინელი იყო. აი, საინტერესო შემთხვევა – 1934 წლის ზაფხულში კიროვმა მოსკოვის ნებართვის გარეშე გამოიყენა ლენინგრადის სამხედრო ოლქის ხელშეუხებელი სასურსათო მარაგი. საუცხოო ნიმუში მთელი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისადმი დამოკიდებულებისა! ასეთი ზომებით ცდილობდა კიროვი მოეპოვებინა „პიტერელი პროლეტარიატის“ იაფფასიანი პოპულარობა.

ამ ამოცანის შესაბამისად „მირონიჩი“ უარს არ ამბობდა მკაცრ რეპრესიულ ზომებზეც. მაგალითად, მან მეტად თამამად „გადაწყვიტა“ ლენინგრადში ბინის პრობლემა, რომელიც იქ მეტად მწვავედ იდგა. კიროვს ურჩევდნენ ქალაქის მახლობლად აეშენებინა ორი აგურის ქარხანა, და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ბაზაზე დაეწყო გამარტივებული ტიპის ხუთსართულიანი სახლების მშენებლობა (თითოეულში ასი ბინითძ. ამას პრობლემა უნდა გადაეწყვიტა, თუმცა არა ერთბაშად. მაგრამ კიროვს სჭირდებოდა თავისი ზეენერგიული ხელმძღვანელის რენომეს შენარჩუნება! და მან მიიღო გადაწყვეტილება – გაესახლებინათ ლენინგრადიდან „არაპროლეტარული წარმომავლობის“ ოჯახები. ერთი დღის განმავლობაში (!ძ ჩრდილოეთი დედაქალაქიდან გაასახლეს უფრო ჩრდილოეთში ათეული ათასობით „ყოფილები“ (ჩინოვნიკები, მღვდლები, აზნაურები და მათი შთამომავლობაძ, მუსიკოსები, ექიმები, ინჟინრები, იურისტები, ხელოვნებათმცოდნეები. მათ შორის იყვნენ ძალიან ბევრი ბავშვი, მოხუცები, ქალები. ბევრი გასახლებული გზაში დაიღუპა...

სხვა ბევრ რამესთან ერთად კიროვი რეგიონალებს მოსწონდათ იმითაც, რომ მას „კოლექტიურ“, ოლიგარქიულ ხელმძღვანელობაში წამყვანი როლის პრეტენზია ჰქონდა. იდეალური ბოიარული მეფე იყო. ასეთი შეიძლება გამხდარიყო ლიდერი მხოლოდ იმისთვის, რომ გადაეცა ხელისუფლება რეგიონებისთვის. ხელისუფლება კი კიროვს 1934 წელს ძალიან დიდი აღმოაჩნდა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მის „წყნარ“ და „თავდაჭერილ“ ქცევას. ის ერთბაშად სამი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს – ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საორგანიზაციო კომიტეტისა და სამდივნოს მონაწილე გახლდათ.

სხვათა შორის, ძნელია ამტკიცო მთელი რწმენით, რომ სწორედ სტალინის ხელი ერია კიროვის მკვლელობაში. არანაკლები საფუძველი მისი მკვლელობისთვის ჰქონდა სწორედ იმ ოპოზიციას. ავიღოთ, თუნდაც, შურისძიების მოტივი, კიროვმა ხომ მხარი არ დაუჭირა მათ, არამედ ბელადს აცნობა საიდუმლო გეგმები. ასეთ რამეს არ პატიობენ.

### მძიმე მრეწველობის მეფე

რეგიონული მასშტაბის ბელადებს ემხრობოდნენ საკავშირო მასშტაბის ბევრი სხვა მმართველი და სამეურნეო მუშაკი. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის გ.კ.ორჯონიკიძის კოლორიტული ფიგურა. ეს უკვე იყო საუწყებო სამეურნეო მაგნატი, რომელიც თავგამოდებით იცავდა თავის საუფლოს – უდიდეს და უმნიშვნელოვანეს სახალხო კომისარიატს, სადაც თავი სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნდა. მის უკან იდგნენ სხვადასხვა სამრეწველო უწყებათა ხელმძღვანელები.

ორჯონიკიძეს აქტიური პოლიტიკური პოზიცია ეკავა. მას, ისევე როგორც კიროვს, ხშირად მიიჩნევენ ფიგურად, რომელიც ლოიალურად იყო სტალინთან. თითქოსდა მხოლოდ თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, თუმცა მასობრივი რეპრესიების დასაწყისში საუცხოო გულის პატრონმა სერგომ გაიგო – როგორი ტირანი ყოფილა მისი ძველი მეგობარი კობა. სინამდვილეში, 20-იანი წლებიდან, ორჯონიკიძე ინტრიგებს აწყობდა სტალინის წინააღმდეგ. ერთხელაც, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში, 1923 წელს ის ზინოვიევთან, მ.ვ.ფრუნზესთან და სხვებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა არაოფიციალურ თათბირში კისლოვოდსკის მახლობლად. იქ, გამოქვაბულში, როგორც შეთქმულებმა რომანებიდან, დიდმა კომუნისტურმა ბონზებმა გადაწყვიტეს შეესუსტებინათ სტალინის პოზიციები აპარატში. მათ მიიღეს გადაწყვეტილება სტალინის მიერ კონტროლირებადი ორგბიუროს შემადგენლობაში შეეყვანათ ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი.

გაერთიანებულ მემარცხენე ოპოზიციასთან (ტროცკი, ზინოვიევი, კამენევიძ ბრძოლის დროს ორჯონიკიძე მათთან შერიგების მთავარი ინიციატორი იყო. და ეს ლამის მოხდა კიდეც 1926 წლის ოქტომბერში. მაშინ ოპოზიციის ლიდერებმა, რომლებიც შოკირებული იყვნენ იმით, რომ ვერ მიიღეს პარტიული მასების ფართო მხარდაჭერა, დაიხიეს უკან და გააკეთეს ოფიციალური განცხადება, რომელშიც უარი განაცხადეს ფრაქციულ ბრძოლაზე. კეთილმოსურნეებმა ორჯონიკიძის მეთაურობით უმალვე აპატიეს „მემარცხენეებს“ და გამოიჩინეს გულჩვილი მზრუნველობა „უძღები შვილების“ „პარტიის მამებთან“ ჩასახუტებლად. აი, რას ამბობს ამის შესახებ თავად სერგო: **„ზოგჯერ ზოგიერთ ამხანაგთან სამ-სამი დღე გვიწევდა საუბარი, რათა დაგვერწმუნებინა, რომ დარჩენილიყვნენ პარტიაში... ასე შევძელით აღგვედგინა პარტიაში ყველა გარიცხულთა თითქმის 90 პროცენტი“.**

რა მოხდა მერე? ოპოზიციონერებმა სავსებით სამართლიანად ამაში დაინახეს სისუსტის ნიშანი, რაც განპირობებული იყო აზრთა სხვადასხვაობით მის ხელმძღვანელ ჯგუფში. მათ განაახლეს ოპოზიციური საქმიანობა.

სადმე კი არა, არამედ ორჯონიკიძის ბინაზე (სადაც კიროვი ინახავდა ხოლმე თავის პორტფელსძ. რეგიონალებს გულში ჰქონდათ ბელადის შეცვლის გეგმები. იქვე ხშირად იკრიბებოდა სტალინის ბევრი არაკეთილმოსურნე, ვისთანაც სერგო მეგობრობდა. ერთ-ერთი ასეთი არაკეთილმოსურნე გახლდათ ვ.ლომინაძე, რომელსაც ოდესღაც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი ეკავა. 1930 წელს მან რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან ს.ი.სირცოვთან ერთად შექმნა ფრაქციული ჯგუფი, რომელიც მემარცხენეებისა და „მემარჯვენე ოპორტუნისტებისგან“ შედგებოდა. მათ სტალინის ზიზღი აერთიანებდათ. ჯგუფი საკმაოდ მალე გაანადგურეს, მისი ხელმძღვანელები კი გამოიყვანეს ხელმძღვანელი ორგანოებიდან. მიუხედავად ამისა, ორჯონიკიძემ უბედურებაში არ დატოვა თავისი მეგობარი. მან მიაღწია, რომ ყოფილი ოპოზიციონერი ლენინის ორდენით დაეჯილდოებინათ და ის მაგნიტოგორსკის საქალაქო კომიტეტის მდივნის პასუხსაგებ პოსტზე დაენიშნათ. კიროვის მკვლელობის შემდეგ ლომინაძემ თავი მოიკლა. ის ოფიციალურად მტრად გამოაცხადეს. ასეთი განცხადების შემდეგ ორჯონიკიძემ მოახერხა მისი ცოლისა და შვილისათვის დაენიშნათ მეტად სოლიდური ფულადი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან. წარმოუდგენელი ამბავია...

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-25.

ოლიმპიზმი

# ვანკუვერში ქართველებიც იწყებენ

**იანვრის მიწურულს ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილმა ქართული სპორტის ისტორიაში პირველად ზამთრის სახეობებში ევროპის ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა, მართალია, ბრინჯაოსი, მაგრამ ჩვენთვის ორმაგად სასიხარულო, რადგან კონტინენტის პირველობაზე ელენემ დაგვანახა, რომ იგი ჩინებულ სპორტულ ფორმაშია და მზად არის წინაალმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ მეტოქეს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, რომელსაც 12 თებერვლიდან კანადური ვანკუვერი უმასპინძლებს. დღეს ასპარეზობის გახსნის საზეიმო ცერემონიალია, ხვალ კი პირველი მედლები გათამაშდება.**




როგორც აღვნიშნეთ, ქართველ სპორტსმენთაგან ფავორიტად ელენე გედევანიშვილი მიგვაჩნია. შესაძლოა, იგი ამჯერად კვარცხლბეკს ვერ შესწვდეს, რადგან, ევროპელთა გარდა, მას ამერიკელი და აზიელი (კორეა, იაპონია, ჩინეთი) სპორტსმენების მეტოქეობის დაძლევა მოუწევს. თუმცა, წინა ოლიმპიადაზე ტურინში ნაჩვენები მე-10 ადგილის გაუმჯობესებას თუ შეძლებს, ეს უკვე წარმატება იქნება.

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ ზამთრის წლევანდელ თამაშებზე საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია გვეყოლება. ვანკუვერის სპორტულ ბაზებზე ჩვენი რვა სპორტსმენი იასპარეზებს. ესენი არიან: სამთო მოთხილამურეები – იასონ აბრამაშვილი (იგი ტურინშიც გამოდიოდა), ნინო წიკლაური და ჯაბა გელაშვილი, ფიგურულად მოციგურავეები – ელენე გედევანიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და წარმოშობით ამერიკელი ელისონ რიდი, რომელმაც შარშან წლის მიწურულს საქართველოს მოქალაქეობა მიიღო (ისინი სპორტულ ცეკვებში გამოვლენ), მოციგურავეები – ლევან გურეშიძე და ნოდარ ქუმარიტაშვილი.

**აქვე გაუწყებთ საქართველოს სპორტსმენების სტარტზე გასვლის განრიგსაც:**

**13-14 თებერვალი.** ნოდარ ქუმარიტაშვილი, ლევან გურეშიძე. საციგაო სპორტი. ინდივიდუალური.

**14 თებერვალი.** ოთარ ჯაფარიძე – ელისონ ლი რიდი. ფიგურული ციგურაობა. მოკლე პროგრამა.

**15 თებერვალი.** ოთარ ჯაფარიძე – ელისონ ლი რიდი. ფიგურული ციგურაობა, თავისუფალი პროგრამა.

**21 თებერვალი.** იასონ აბრამაშვილი, ჯაბა გელაშვილი. სამთო-სათხილამურო სპორტი (გიგანტური სლალომი).

**23 თებერვალი.** ელენე გედევანიშვილი. ფიგურული ციგურაობა. მოკლე პროგრამა.

**24 თებერვალი**. ნინო წიკლაური. სამთო-სათხილამურო სპორტი (გიგანტური სლალომი).

**25 თებერვალი.** ელენე გედევანიშვილი. ფიგურული ციგურაობა. თავისუფალი პროგრამა.

**26 თებერვალი.** ნინო წიკლაური. სამთო-სათხილამურო სპორტი. სლალომი.

**27 თებერვალი.** იასონ აბრამაშვილი, ჯაბა გელაშვილი. სამთო-სათხილამურო სპორტი. სლალომი.

ჭიდაობა

# ქიშპობას ბოლო ისევ არ უჩანს

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ზაზა თურმანიძე) საწვრთნელ შეკრებაზე ბაკურიანში იმყოფება, სადაც 16 თებერვლამდე დაყოფს, ცხრამეტში კი უძლიერესი ფალავნები კიევის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებიან.** უკრაინის დედაქალაქში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ბესიკ გუჩაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (ორივე – 55კ), მალხაზ ზარქუა (60კ), ოთარ თუშიშვილი (66კ), გელა სალირაშვილი (74კ), არჩილ ქიტიაშვილი (84კ), გიორგი გოგშელიძე (96კ) და გიორგი საკანდელიძე (120კ).

12-14 თებერვალს სტამბოლში იასარ დოგუს სახელობის ტურნირზე გამოვლენ გივი დავიდოვი (55კ), მალხაზ ქურდიანი, გიორგი ბაციაშვილი (ორივე – 60კ), შალვა მუზიაშვილი (66კ), იაკობ მაქარაშვილი (74კ), დავით ახალმოსულიშვილი (84კ), ბელდუხ გავაშელიშვილი, დავით ქერაშვილი (ორივე – 96კ).

თურქული ტურნირის თარიღს ემთხვევა სომხეთის დედაქალაქში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს თასის გათამაშება. საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად მიწვეულნი არიან საქართველო, რუსეთი, თურქეთი, ირანი, კუბა და უნგრეთი. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აზერბაიჯანელებსაც. მათ სომხებისგან უსაფრთხოების სრული გარანტია მოითხოვეს, რაზეც დასტური ვერ მიიღეს და ერევანში ჩასვლაზეც უარი თქვეს.



სომხურ-აზერბაიჯანული მტრობა და ქიშპობა დიდი ხანია გრძელდება, თუმცა ზოგიერთ სფეროში ამ ორ ერს შორის დაახლოების კონტურებიც გამოიკვეთა. მაგალითად, სომხეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსან ავეტისიანმა შარშან ერევანში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას თითოეული აზერბაიჯანელი სტუმრისთვის პერსონალური დაცვა მიეჩინა, შეჯიბრების გახსნის ცერემონიალზე აზერბაიჯანის დროშა თავის შვილს გაატანინა, ხოლო ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გამართულ ბანკეტზე მუსიკოსებს ორჯერ აზერბაიჯანული სიმღერა დაუკვეთა. ის, რაც მოახერხეს კიმონოიანებმა, ვერ შეძლეს ფალავნებმა.

სომხეთის ჭიდაობის ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ისიც კი დაიმუქრა, აზერბაიჯანელები ტურნირზე თუ არ გვესტუმრებიან, მაშინ აპრილში არც ჩვენ ჩავალთო ბაქოში ევროპის ჩემპიონატზე. თუმცა მოგვიანებით სომხეთის ეოკის ვიცე-პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ აზერბაიჯანელების ჩამოუსვლელობა კონტინენტის პირველობაზე ჩვენს გამგზავრებას ხელს ვერ შეუშლისო.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მიზნით აზერბაიჯანის ნაცვლად მსოფლიო თასზე სკანდინავიის ქვეყნების ნაკრების სახელით დანიელებისა და შვედების გაერთიანებული გუნდი დაუშვა.

ერევანში ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: ლაშა გოგიტიძე (55კ), რევაზ ლაშხი (60კ), მანუჩარ ცხადაია, ანტონ მამაგეიშვილი (66კ), გენადი გოგიშვილი (74კ), არსენ კახაბრიშვილი (84კ), იოსებ ჯაბიძე (96კ), დიმიტრი ჯავახიშვილი (120კ). ბადრი ხასაია (84კ) და რამაზ ნოზაძე (96კ) ევროპის ჩემპიონატისთვის ტრავმებს იშუშებენ.

**ლექსო ცინცაძე**

გვეხმაურებიან

**დიახ! ბატონი შალვა ქირია ისე წერს, როგორც თვითონ სურს და არა ისე, როგორც ეს ნამდვილად მოხდა.**

**მე ამის შესახებ ადრეც დამიწერია.**

**...გავეცანი შალვა ქირიას სტატიას „ფინტი, რომელმაც დაღუპა არგენტინა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.01.10 წ.) მასალა ეხება გახმაურებულ მატჩს, არგენტინა – სსრკ, 18 ნოემბერი, 1961 წელი, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა – 2:1.**

**ავტორი წერს: „წინა დღეს ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა ადგილობრივი გაზეთების დასტა დაუყარა მაგიდაზე თავის აღსაზრდელებს და უთხრა: „კარგია, რომ ჩვენ აქ სერიოზულ მეტოქედ არავინ გვთვლის. მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონი კი არა, კამპუჩიის ნაკრებია“.**

**მატჩის მონაწილეებთან, წამიკითხავს ათეულობით სტატია, დღესაც მაქვს სატელეფონო კონტაქტი ვიქტორ პონედელნიკთან.**

**აი, რას წერს იგი მეორე გოლთან დაკავშირებით (ამონარიდი მისი წიგნიდან „ცენტრალური თავდამსხმელის აღსარებაძ):**

**„...რამდენიმე წუთის შემდეგ მესხი ატყუებს სიმეონეს და აწოდებს მეტრეველს თავის ფრთაზე. სლავა მოხდენილად, სწრაფად უვლის გვერდს ვიდალის და ბურთს 11-მეტრიანის ნიშნულთან აწოდებს. მე წინ გავიქეცი; ვხედავ გუსაროვი ვერ ასწრებს მიიღოს გადაცემა. სამწუხარო იქნება ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება. გადავწყვიტე, კარებისკენ ზურგით მდგარი თვითონ მივწვდომოდი ბურთს, და როგორც ტანმოვარჯიშეს, უკუღარტყმით გამეგზავნა კარისკენ.**

**ვგრძნობ, მივწვდი ბ ურთს, მე კი ზურგით დავეცი. ტრიბუნები გაირინდნენ. ბურთი კარის ბადეში გაეხვია“.**

**შემდეგ შალვა ქირია წერს.**

# ისე წერს, როგორც თვითონ სურს...

**მე გავრილ კაჩალინს კარგად ვიცნობდი. მისგან 1988 წლის სექტემბერში, მოსკოვში, ვრცელი ინტერვიუ ავიღე, რომელიც გაზეთ „ქუთაისში“ დაიბეჭდა და შემდეგ შევიდა ჩემს წიგნში „რეტრო“... ჩვენს შორის მეტად ახლო, მამაშვილური ურთიერთობა დამყარდა. დიდი მწვრთნელის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ანტონინა პეტრეს ასულმა საჩუქრად გადმომცა გავრილ დიმიტრის ძის ჩანაწერები, გაზეთები, ათეულობით ფოტოსურათი.**

**ეს დიდებული მწვრთნელი, ინტელიგენტი, ჭეშმარიტი აღმზრდელი, ჩემი აზრით, არაფრით არ დაამცირებდა რომელიმე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. მით უმეტეს, რომ 1863-1976 წლებში (მათ შორის, რა თქმა უნდა, 1961 წლის 17 ნოემბერსაცძ) დღევანდელ კამპუჩიას ერქვა კამბოჯა.**

**სტატიის ავტორი გვაუწყებს:**

**„...რამდენიმე წუთის შემდეგ ბურთი ისევ მესხმა მიიღო. მის წინ კვლავ სიმეონე აღიმართა. მიშამ თავისი განუმეორებელი ფინტით დააბნია მეტოქე, რომელიც მწვანე ბალახზე მოცელილივით დაეცა. ბურთმა წრე მოხაზა მასპინძლის ირგვლივ და თბილისელთან გაჩნდა! „მტკვრისპირელ გარინჩად“ შერაცხულმა მარცხენა გარემარბმა იგი საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩაჰკიდა. პონედელნიკმა „მაკრატელათი“ მეორედ აიღო რომას კარი – 2:0“.**

**ამ მატჩის ფრაგმენტები ჩემს ბავშვობასა და ყმაწვილკაცობაში რამდენჯერმე მინახავს. 2001 წელს სტატიაც დავწერე სათაურით: „ბუენოს-აირესის ის მატჩი, მიხეილ მესხი და... სხვები“. მისაუბრია ამ მატჩის მონაწილეებთან, ...**

**„...შეხვედრის საფინალო სასტვენის შემდეგ გაუგონარი რამ მოხდა. გაოგნებულმა არგენტინელმა გულშემატკივრებმა მავთულის ღობე გადმოლახეს, პოლიციელების სამმაგი კორდონი გაარღვიეს და ქართველ ფეხბურთელებს დაედევნენ, საფეხბურთო „შოუ-სპექტაკლის“ მთავარ გმირს მიხეილ მესხს მაისური და გეტრები შემოახიეს და სუვენირებად დაიტაცეს! ფეხბურთის ქომაგები გუგუნებდნენ ქართველი „გარინჩას“ სახელს, ავტოგრაფებს სთხოვდნენ მას. გასახდელში მე და სლავა მეტრეველი ფეხშიშვლები ჩავედით, იგონებდა ამ მატჩის სუპერგმირი მიხეილ მესხი“.**

**შეცდომაა:**

**უპირველესად, საინტერესოა, მიშა და სლავა გასახდელში ფეხშიშვლები რატომ ჩავიდნენ? მათ – ავტორის თქმით – ხომ მაისურები და გეტრები შემოახიეს?!**

**ნამდვილად კი აი, რა მოხდა. ისევ ვიქტორ პონედელნიკს მოვუსმინოთ:**

**„...მიმალვა ყველამ ვერ მოახერხა. მესხს, მეტრეველს, ვორონინს, ჩოხელს მაყურებლებმა წითელი მაისურები შემოახიეს. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი ჩვევების მიხედვით, ეს ყველაზე ძვირფასი სუვენირია ფეხბურთის გულშემატკივრისთვის“.**

**რაც შეეხება ფოტოსურათზე ყირაზე გამოსახულ ფეხბურთელს – იგი გახლავთ მოსკოვის „სპარტაკის“ მარჯვენა შუამარბი ანატოლი ისაევი და არა განაპირა მცველი, როგორც ამას ავტორი ბრძანებს.**

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
ქუთაისი.

ინტერნეტიდან

## მეჩირაღდნეობა — საპატიო მოვალეობა!



**დღეს გვიან ღამით კანადის ვანკუვერში საზეიმოდ გაიხსნება 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, იქამდე კი ოლიმპიადის დედაქალაქში უნდა ჩაიტანონ ოლიმპიური ცეცხლი, რომელმაც მთელი კანადა შემოიარა. მისი მეჩირაღდნეობა ხომ დიდად საპატიო საქმეა. როგორც ცნობილი გახდა, ესტაფეტის ბოლო დღეს ვანკუვერში ამ საპატიო მოვალეობას შეასრულებენ ცნობილი კინომსახიობი, ახლა კი კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი და 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი დიმიტრი ჩერნიშენკო.**

შვარცენეგერი იქნება ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის დასკვნითი, 106-ე დღის მეჩირაღდნე. ის სტარტზე დადგება იქაური დროით 7 საათსა და 6 წუთზე და თავის მონაკვეთს გაირბენს სტენლის ბაღში.

„სოჭი-2014“-ის თავკაცი კი ჩირაღდანს მიიღებს ვანკუვერის ერთერთ ქუჩაზე 8 საათსა და 34 წუთზე. ჩერნიშენკო ერთად-ერთი წარმომადგენელი როდი იქნება „ოლიმპიური დედაქალაქებისა“. მასზე ცოტა ადრე დისტანციაზე გავა 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მოსკოვისა და ლოს-ანჟელესის 1980 და 1984 წლების ოლიმპიადების ჩემპიონი სებასტიან კოე.

ბოლო დღეს მეჩირაღდნეები იქნებიან კანადელი ასტრონავტი ქალი ჟიული ჰაიეტი, პოპულარული კანადელი ჰოკეისტის უეინ გრეტცკის მამა უოლტერ გრეტცკი, კანადელი პარალიმპიელის ტერი ფოქსის მამა სული ფოქსი, პოპულარული კანადელი მორაგბე გერეტ რიზი, ჰოკეისტები საშარ ბროდო და სტენ სმილი, ყოფილი ფეხბურთელი ნოზ ლენარდუზი, პოპ-შემსრულებელნი ჟან არდენი, მაიკლ ბუბლი და სხვები.

## ერთხელ კიდევ შოკში

**მოდური ჟურნალის Lave წლევანდელი მესამე გამოშვების კრიალა ყდას დაამშვენებს ცნობილი დანიელი ფოტომოდელის ლარა სტოუნის პიკანტური ფოტოსურათი, რომელმაც ერთხელ კიდევ შოკში ჩააგდო მისი თაყვანისმცემლები.**

ეს პერიოდული გამოცემა ახლახან გამოჩნდა ევროპაშიც. უნდა ითქვას, რომ გაშიშვლება ლარასთვის უცხო ხილი როდია. ის შესაშური დაჟინებით ამზეურებს თავის სხეულს, მუდამ თითქმის ინფარქტამდე რომ მიჰყავს მაყურებელმკითხველი. ახლა გაშიშვლებული ლამაზმანის ფოტოები კალენდრისთვის გამოიყენა საავტომობილო საბურავების კომპანიამ „პერელიმ“, რომელიც ამავე დროს გენერალური სპონსორია იტალიური საფეხბურთო კლუბ „ინტერის“. ფოტოსურათებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია სამოდელო ბიზნესის სპეციალისტებშიც.



ლარამ კარგად იცის, რომ მხოლოდ კარგი რეკლამა დაეხმარება მას, დარჩეს სამოდელო ბიზნესის მწვერვალზე.

◎ ვულოცავთ პოეტს

# გზა გასავლელი საკმაო დარჩა...

**წლებთან ერთად სევდა-ნაღველიც მომატებია ჯემალ ჩახავას. ამას პოეტის ერთ-ერთი ბოლო ლექსიც ამხელს:**

**გზა გასავლელი ცოტაღა დამრჩა**
**და დავისვენებ მალე დაღლილი,**
**უკვე სიკვდილი მისინჯავს მაჯას,**
**დაკიდული მაქვს თავზე მახვილი.**
**არ დამკლებია ქვეყნად სიმწარე**
**და ეს სიმწარეც აღარ მაკმარეს,**
**წუხელ სიზმარში გარდავიცვალე**
**და შევუერთდი ცის სიანკარეს.**
**მგოსანო, მიწას როცა ეცლები**
**და მიგიწვევენ ზეცაში ოდეს,**
**დაგიტირებენ შენი ლექსები,**
**სხვისი იმედი არ უნდა გქონდეს.**



ნამეტანი უიმედობაა, არა? ჩვენ კი, მის მეგობრებს, გვახსოვს ჯემალ ჩახავა – შემართული, ლაღი, კასკასა, იმედიანი ლექსების ავტორი, გიტარის ჟღარუნში და მეგობრებთან ლხინში ჩართული, უძველესი ფაზისიდან წამოსული („ტყემ მოისხა ფოთელი", ეხუმრებიან ძმაკაცებიძ და თბილის-ქალაქში შესანიშნავი ლექსებით სახელდებული.

ეს ლექსები, თავდაპირველად, „ცისკარმა" დაბეჭდა ჯანსუღ ჩარკვიანის დალოცვით, მერეც ხშირად უგრძვნია ჯემალს ჯანსუღის გვერდით დგომა და მხარდაჭერა, ძმობა და სიყვარული... ქართული კლასიკური პოეზიის თაყვანისმცემელი, თვითონაც ტრადიციულ ლექსთა წყობას სთავაზობს მკითხველს, ოღონდ, განსაკუთრებული სილაღე, უზრალოება ახლავს ხოლმე სტრიქონებს, რითმებს, მეტაფორებს, რაც, სწორედაც, რომ ავტორის შინაგანი ბუნებიდან ილვრება.

და აი, ჩვენი ჯემალი ამ დღეებში 70 წლისა ხდება, რაც კარგი ლექსებით სავსე ერთტომეულით აღნიშნა და რის გამოც **საქართველოს მწერალთა კავშირმა გალაკტიონის პრემია მიანიჭა პოეტს.** მოგვილოცნია, ჩვენო ჯემალ, შორს უიმედობა, ავმა დრომ არ შეგაშინოს, ჯიმა, ჩვენ კიდევ ბევრჯერ ვიმღერებთ სუფრასთან ხელიხელგადახვეული: „ციიირა, ციიიირა, ნანაია ცირა ქუგალეეე".

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

**შპს „თბილისის საუქციონო სახლი" (მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას №71) მართავს პირველ იძულებით საჯარო აუქციონს გიული გოგინაშვილის (პირადი №01011003807) და ზაზა ჩიგოგიძის (პირადი №01024018290) კუთვნილი უძრავი ქონებების რეალიზაციის მიზნით, უძრავი ნივთები დატვირთულია იპოთეკით სს ბანკ „რესპუბლიკის" სასარგებლოდ მოვალის, შპს „არქ თრეიდი"-ს (საიდ. №205066195) ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. აუქციონზე ერთ ლოტად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:**

1. გიული გოგინაშვილის კუთვნილი 0.12 ჰა მიწის კნავეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი, სახლი ფართი 177კვ.მ., საერთო სარგებლობაში არსებული ფართით 162, 45კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 47,32კვ.მ., დამხმარე ფართი- 22.08კვ.მ., სამეურნეო ფართი 48კვ.მ., საზაფხულო ფართი 44.62., მდებარე: გარდაბნის რაიონი სოფ. □მარტყოფი. მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №811026101.

2. ზაზა ჩიგოგიძის საკუთრებაში არსებული ბინა №35, ფართით 137 კვ.მ, მდებარე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №11ა, სადარბაზო 1, სართული 5. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.14.011.013.01.035

**აუქციონის დანიშვნის საფუძველია:**

1) კრედიტორის – სს „ბანკ რესპუბლიკის" მომართვა;

2) 2008 წლის 29 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულებები №328441-1, №328441-2.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გასაყიდი ქონების ფასი პირველ იძულებით აუქციონზე შეადგენს 190 282. 88 (ასოთხმოცდაათიათას ორასოთხმოცდაორი მთელი ოთხმოცდარვა მეასედი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და 26 469. 63 (ოცდაექვსიათას ოთხასსამოცდაცხრა მთელი სამოცდასამი მეასედი) ლარს.

აუქციონი გაიმართება თბილისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 71, II სართული, 2010 წლის 23 თებერვალს, 11 სთ-ზე. ტელ.: 207 307.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1) საბანკო გარანტია საწყისი თანხის 10%-ზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულ გადახდას (გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი სს „ბანკი რესპუბლიკა");

2) აუქციონში მონაწილე პირის პირადობის მოწმობის ასლი;

3) მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირით (ფიზიკური პირის შემთხვევაში აუცილებელია მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება);

4) თუ აუქციონში მონაწილეობს იურიდიული პირი, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების შესყიდვაზე (თუკი წესდებით ანდა კანონით გათვალისწინებულია ამგვარი თანხმობის საჭიროება).

**აუქციონზე მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2010 წლის 23 თებერვალი, 10:30 საათი.**

ყველა სხვა პირი, რომელსაც გააჩნია უფლებები აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი დოკუმენტი და მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე, 2010 წლის 23 თებერვლის 11 სთ-მდე.

**აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა უძრავი ქონების ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული თანხა) სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში, ნასყიდობის თანხის ჩარიცხვით შპს „თბილისის საუქციონო სახლის" ანგარიშზე 10900938679, მომსახურე ბანკი: სს „ბანკ რესპუბლიკბს" ცენტრალური ფილიალი.**

---

◎ მექრთამე

# გაუთვითცნობიერებელი მოქალაქეები და სულგაყიდული მოხელეები

**თითებზე ჩამოსათვლელი დადებითი ღონისძიებებიდან, რაც „ვარდოსნებმა" ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაატარეს, უდავოდ აღსანიშნავია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნა. მართალია, პირველ ეტაპზე იყო გარკვეული პრობლემები (უამისოდ არც დღეს არისძ, მაგრამ მან მაინც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მოქალაქეებს საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების მოპოვების საქმე. სააგენტოს კიდევ უფრო გამართული მუშაობისთვის შეიქმნა რეგიონული ფილიალები.**

ფულსდახარბებულმა ხელისუფლებამ აქაც გამორჩენის საშუალება იპოვა. ინფორმაციის გაცემა ფასიანია. რაც უფრო მოკლე ვადებში სურს ადამიანს საჭირო დოკუმენტაციის მიღება, გადასახდელი ნიხრი მატულობს. მართალია გადასახდელი თანხა არც ისე კატასტროფულია, მაგრამ საგრძნობია.

სწორედ ინფორმაციების გაცემის დაჩქარებასთან დაკავშირებით იქმნება პრობლემები. მოქალაქეებმა არ იციან, რომ სწრაფი ცნობისათვის ოფიციალური გადასახადი არსებობს. არაკეთილსინდისიერი მოხელეები კი ამით სარგებლობენ და ფულს სძალავენ მისულთ, განსაკუთრებით – რეგიონებში. ამ დღეებში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის ფილიალის განყოფილების თანამშრომელი ნათელა ასაბაშვილი. მან ერთ-ერთ მოქალაქეს (გვარი ჯერჯერობით არ სახელდებაძ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას დოკუმენტების დამზადების დაჩქარებაში 300 ლარი მოსთხოვა და მიიღო კიდეც.

ასაბაშვილის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მექრთამეობის მუხლით.

**ზაზა ბილიხოძე**

---

ვარდისფერი დროის მსხვერპლი

# ვინ მოკლა მიხეილ იმერლიშვილი?



**უკვე ხუთი წელიწადი შესრულდა...**

**2005 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე, მესამე სართულის ერთ-ერთ ბინაში ყაჩაღების ბანდამ სასიკვდილოდ დაჭრა მამა-შვილი მიხეილ და ოთარ იმერლიშვილები, შვილი ბედად გადარჩა. მამა დაიღუპა. საქმე მაშინვე კი აღიძრა, მაგრამ ჩვენმა აგრერიგად ნაქებმა ვარდისფერმა სამართალდამცავებმა ბანდის კვალს დღემდე ვერ მიაგნეს... დაელდიანებულ, დამწუხრებულ ოჯახს საბოლოოდ გადაეწურა მკვლელის პოვნის იმედი.**

ამ დღეებში მიხეილ დავითის ძე იმერლიშვილი 84 წლისა გახდებოდა. თუ არა უპოვნელი ყაჩაღი მკვლელის ტყვია, დღეს დაბადების დღე უნდა მიგველოცა ამ დიდებული ადამიანისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება, როგორც მაღალკვალიფიციურმა იურისტმა, სიმართლისა და კანონიერებისთვის ბრძოლას მოახმარა. საქართველოში დღესაც ბევრია ისეთი მოქალაქე, ვისაც სამართალი საბოლოოდ სწორედ მიხეილ იმერლიშვილმა აპოვნინა. ამიტომ არის, რომ მის საფლავთან ოჯახის წევრებთან და შინაურ ჭირისუფლებთან ერთად ხშირად ნახავთ სრულიად უცხო ადამიანებს, რომელთაც მადლიერების ნიშნად ცოცხალი ყვავილები მიაქვთ და კეთილი სიტყვით იგონებენ ამ თავიანთ უანგარო კეთილისმყოფელს.

აქ არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ბატონი მიხეილი უაღრესად ბუნებათანაზიარი და საზოგადოებრივი ადამიანი იყო. პოეტის თქმისა არ იყოს, მუდამ იქ იდგა, სადაც ქარიშხალი ქროდა. იგი მეორე მსოფლიო ომში მთელი ოთხი წელიწადი ფრონტზე იბრძოდა, ომის შემდგომ კი როგორც ყველა პატრიოტი, სამშობლოს აღმშენებლობის ხარაჩოებზე იდგა.

დღეს ბატონი მიხეილის ძვირფას მეუღლესთან – ქალბატონ სუზანა მირიანაშვილთან და ვაჟიშვილ ოთართან ერთად (ქალიშვილი ლია შვილებით ბელგიაში ცხოვრობს) კიდევ ერთხელ მივიტანთ ყვავილებს ამ დაუვიწყარი, დიდად ღირსეული ადამიანის სამარესთან და კიდევ ერთხელ ჩავძახებთ, რომ სამართალსა და სამართლიანობას კვლავინდებურად უჭირს საქართველოში.

როგორც ძალიან ბევრი სხვა საქმე, მიხეილ იმერლიშვილის მკვლელობაც, ჩვენი თავნაქები სამართალდამცავების სამარცხვინოდ, დღემდე გაუხსნელია და, რაც მთავარია, არც გახსნის პირი უჩანს...

ღმერთმა ნათელში ყოფნა არ მოგიშალოს, კეთილო და გულისხმიერო, ყველა გაჭირვებულის ხელის ამპყრობელო, ჭეშმარიტად ქართველო ადამიანო, ჩვენო ღვთისნიერო მეგობარო, ძვირფასო მიხეილ!

ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოში სიმართლე იზეიმებს და სამართალი პურსა ჭამს...

**კოლეგები, მეგობრები**

---

**2010 წლის 20 თებერვალს 12 საათზე სოფ. ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ჩატარდება მეორე აუქციონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ზემო მაჩხაანის" გაკოტრების მასის რეალიზაციის მიზნით. გასაყიდად გამოტანილი იქნება სხვადასხვა დასახელების უძრავ-მოძრავი ქონება.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო მაჩხაანი, ალიკო ნატროშვილი, ტელ: 899 421543.

---

**2010 წლის 20 თებერვალს 12 საათზე სოფ. ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ჩატარდება მეორე აუქციონი ს.ს. საწარმო „თელაწყალის" გაკოტრების მასის რეალიზაციის მიზნით. გასაყიდად გამოტანილი იქნება სხვადასხვა დასახელების უძრავ-მოძრავი ქონება.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო მაჩხაანი, ალიკო ნატროშვილი, ტელ: 899 421543.

---

**2010 წლის 20 თებერვალს 12 საათზე სოფ. ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ჩატარდება მეორე აუქციონი ს.ს. კოოპერატივ „ფიროსმანი 1"-ის გაკოტრების მასის რეალიზაციის მიზნით. გასაყიდად გამოტანილი იქნება სხვადასხვა დასახელების უძრავ-მოძრავი ქონება.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო მაჩხაანი, ალიკო ნატროშვილი, ტელ: 899 421543.

---

**2010 წლის 20 თებერვალს 12 საათზე სოფ. ზემო ქედის საკრებულოს შენობაში ჩატარდება მეორე აუქციონი ს.ს. კოოპერატივ „ზემო ქედის" გაკოტრების მასის რეალიზაციის მიზნით. გასაყიდად გამოტანილი იქნება სხვადასხვა დასახელების უძრავ-მოძრავი ქონება.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ზემო ქედი, ზურაბ ბაშარული, ტ. 899 243685.

---

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

**2010 წლის 12 მარტს დღის 12 საათზე დანიშნულია ს. საზოგადოება „ავტოშემკეთებელი 2"-ის აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული.**

**დღის წესრიგი:**

1. 2009 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. სხვადასხვა.

**სს „ავტოშემკეთებელი 2"-ის ადმინისტრაცია**

## სულიერება



# წმინდა ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი

12 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს სამ დიდ მღვდელმთავარს – ქრისტიანული სარწმუნოების ბურჯებს: წმინდა ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.

...იმხანად კონსტანტინოპოლში ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ რომელი მღვდელმთავრისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა; თავიდან ხომ მათი ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული! ამ მიზეზის გამო ქრისტიანთა შორის განხეთქილება ჩამოვარდნილა. თურმე ვითარება მეტისმეტად დაძაბულა და მხოლოდ ღვთის ნებით სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: ჩვენ, სამივე თანასწორი ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა, ერთ დღეს დააწესეთო ჩვენი ხსენება.

**გიული ლიპარტია**

# ვულოცავ პროფესორ დავით ტვილდიანს!



ჩემს მასწავლებელს, გამოჩენილ ქართველ კარდიოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ დავით ტვილდიანს ვულოცავ დაბადებიდან 80 წლისთავს.

ბატონო დავით!

დიდია თქვენი ღვაწლი ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული და კლინიკური კარდიოლოგიის განვითარებაში. თქვენს სახელმძღვანელოებზე კლინიკურ კარდიოლოგიასა და ელექტროკარდიოგრაფიაში აღიზარდა მედიკოსთა მრავალი თაობა.

ათასობით მადლიერი პაციენტი, ექიმი თუ ათობით თქვენს მიერ მეცნიერებაში გზაგაკვლეული შეუერთდება ალბათ ჩემს მილოცვას.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ.

მუდამ თქვენი თაყვანისმცემელი
**ნოდარ ემუხვარი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7129 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3446 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6666 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6132 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5300 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1421 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1410 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1276 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5092 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +6 |
| ქუთაისი. | +7 – +12 |
| ბათუმი. | +9 – +11 |
| ზუგდიდი. | +7 – +11 |
| თელავი. | +1 – +4 |

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## დღის კალენდარი

### 12 თებერვალი

კრება მსოფლიო მოძღვართა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდისა, გრიგოლი ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა (XIძ; მღვდელმოწამისა იპოლიტესი, რომის პაპისა; და მისთანა მოწამეთა; კენსორინესი, საბინესი, ქრისია ქალწულისა და სხვათა ოცთა მოწამეთა: ფელიქსისა, მაქსიმესი, ჰერკულიოსისა, ვენერიოსისა, სტირაკიოსისა, მინასი, კომოდოსისა, ჰერმისა, მავროსისა, ევსებისა, რუსტიკიოსისა, მონაგრიოსისა, ამანდინოსისა, ოლიმპიოსისა, კვიპროსისა, თეოდორე ტრიბუნისა, მაქსიმე ხუცისა, არქელაოს დიაკონისა, კვირიაკე ეპისკოპოსისა და მაქსიმესი სხვა ხუცისა (IIIძ მოწამისა თეოფილე ახლისა (780-802ძ; კეთილმსახურისა პეტრესი, ბულგარეთის მეფისა (967ძ; მღვდელმოწამისა ვარსიმე ედესელი ეპისკოპოსისა, ალმსარებლისა (114ძ; ახალმოწამისა თეოდორე მიტილენელისა, ათონელისა (1784ძ; დიდმოწამე გიორგის მიერ კუნძულ ზაკინთოსზე მოხდენილი სასწაულისა (XVIIძ; კუნძულ ტინოსზე ევანგელისტრიას („კეთილმაუწყებელი“ძ წმიდა ხატის პოვნისა (1823ძ.



ამოდის 07.01
ჩადის 17.30



ამოდის 05.59
ჩადის 06.02

### დაიბადნენ:

**1809 – აბრაამ ლინკოლნი,** აშშ-ის პრეზიდენტი (1860-1865ძ. გარდაიცვალა 1865 წელს.

**1809 – ჩარლზ დარვინი,** ინგლისელი ნატურალისტი და მოგზაური.

**1866 – შიო მღვიმელი,** ცნობილი საბავშვო პოეტი. გარდაიცვალა 1933 წელს.

**1887 – გიორგი ახვლედიანი,** გამოჩენილი ენათმეცნიერი. გარდაიცვალა 1973 წელს.

**1907 – კანდიდ ჩარკვიანი,** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1938-1952ძ. გარდაიცვალა 1994 წელს.

**1923 – ფრანკო ძეფირელი,** იტალიელი თეატრისა და კინოს რეჟისორი.

**1955 – პაატა ბურჭულაძე,** მომღერალი.

### გარდაიცვალნენ:

**1804 – იმანუელ კანტი,** დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

**1829 – ალექსანდრ გრიბოედოვი,** რუსი მწერალი.

### მოვლენები:

**1542 წელი** – ფრანსისკო დე ორელიანის რაზმმა მდინარე ამაზონი აღმოაჩინა.

**1818 წელი** – გამოცხადდა ჩილეს დამოუკიდებლობა ესპანეთისგან.

**1912 წელი** – ჩინეთი რესპუბლიკა გახდა.

**1921 წელი** – ბოლშევიკური წითელი არმია საქართველოში შემოვიდა.

**1924 წელი** – ფარაონ ტუტანჰამონის მუმია სამარხიდან ამოიღეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აშშ** – ლინკოლნის დაბადების დღე.

**ლიბერია** – ცოდნის დღე.

**მექსიკა** – ეროვნული გლოვის დღე.

**მელიანიუსი**

## ანეკდოტები

– ექიმო, თქვენ შეცდომა მოგდით?

– როგორ არა, მაგრამ იმას მიწაში ვმალავ!

* * *

გამყიდველთან მიდის სუპერმარკეტის გამგე და საყვედურობს:

– უკვე სამი თვეა, ჩვენთან მუშაობ და ვერაფერი ისწავლე – აქამდე სულგუნს ჩვეულებრივი ყველისგან ვერ ანსხვავებ.

– სამაგიეროდ კარგად ავითვისე, რომ კილოგრამში 750 გრამია!

* * *

წინასაარჩევნო რჩევა: თუ ხმის მისაცემ კაბინაში შესულს იქ კალამი არ დაგხვდათ, შეგიძლიათ, მიაფურთხოთ თქვენი კანდიდატის გვარს.

* * *

თუ ავტობუსში შესულს ფეხი დაგადგეს, იდაყვი გაგკრეს ფერდებში, ნუ აღელდებით, ყოველივე ეს შესულია მგზავრობის ბილეთში.

* * *

– მიხო, მართლა მოიგე ახალ ლატარიაში ჯეკ-პოტი – 777777 ლარი?

– აბა, რა!

– შენი მარო როგორ შეხვდა ამ ამბავს?



– სიხარულისგან, ენა ჩაუვარდა!

– ღმერთო, ერთბაშად ორი ბედნიერება?!

* * *

– ხალხო, მირჩიეთ, რა ვაჩუქო ჩემს 17 წლის ბიჭს?

– თექვსმეტი წლის გოგო! – იყო მოკლე პასუხი.

* * *

თვითმფრინავში:

– როგორ მოვიქცე, პარაშუტი რომ არ გაიხსნას?

– ხელები მაგრა უნდა იქნიო, ფრთებივით – უპასუხა ინსტრუქტორმა.

ცოტა ხნის შემდეგ ილუმინატორზე აკაკუნებენ.

– მერე რა ვქნა?!

* * *

წერილი მეტეოროლოგიურ სადგურში: ეს-ესაა სახურავიდან გადავხვეტე ერთმეტრიანი თქვენი ცვალებადი მოღრუბლულობა.

* * *

ექიმები ქუჩაში გავიდნენ მთავრობისადმი საპროტესტო აქციაზე, მაგრამ მთავრობამ ვერაფერი გაიგო, თუ რა უნდოდათ ექიმებს, რადგან ტრანსპარანტებიც იმავე ხელით იყო დაწერილი, როგორც მათი რეცეპტები.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.